



მსვანე

აღწერისაგეგმა

**სატყეო სექტორის დეცენტრალიზაცია
სახელმძღვანელო**




თბილისი 2008



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



ქვემოთ
თანამშრომლობის
ფონდი



პუბლიკაცია მომზადდა ასოციაცია **მწვანე ალტერნატივა**ს მიერ პროექტის “ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის პროცესისა და ადგილობრივი ტყეების მართვის მონიტორინგის საკითხებში” ფარგლებში

ტექსტი: ი. მაჭარაშვილი
ფოტო: ი. მაჭარაშვილი

წიგნი გამოიცა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით (გრანტი N.:CO8-0029) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრების მეშვეობით. მასში გამოხატული თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის შეხედულებებს.



ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი

ციტირებისას: ი. მაჭარაშვილი 2008, სატყეო სექტორის
დეცენტრალიზაცია, სახელმძღვანელო
თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 48 გ.

© მწვანე ალტერნატივა

სატყეო საქმორის დეცენტრალიზაცია სახელმძღვანელო

საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებთან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივ მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას (დეცენტრალიზაცია) უწოდებენ... ამგვარის მმართველობის დედააზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ილია

შესავალი

საქართველო ტყით მდიდარ ქვეყანად ითვლება. სახელმწიფო ტყის ფონდის მინები¹ შეადგენს 2988000 ჰა-ს, აქედან ტყით დაფარულია 2767000 ჰა (ქვეყნის დაახლოებით 40%). ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტყის უსისტემო და ჭარბი ჭრის გამო, ტყის საშუალო სიხშირე კრიტიკულ ზღვრამდეა მისული (0,52). ამასთან, კრიტიკულ ზღვარზე (0,5) დაბალი სიხშირის კორომები ტყით დაფარული საერთო ფართობის ნახევარზე მეტს (55%) შეადგენს. მათ მკვეთრად აქვთ დაქვეითებული დაცვითი ფუნქციები, თვითაღდგენა-თვითგანახლების უნარი. ამასთანავე, ჯერ კიდევ შემორჩენილია თითქმის ხელუხლებელი ტყის კორომები, რომლებსაც დიდი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) მნიშვნელობა გააჩნიათ². საქართველოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ქვეყნის ტერიტორია შედის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) 200 გლობალური ეკორეგიონის შემადგენლობაში. ამასთანავე, უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრისა და იმ საფრთხის გამო, რომელიც ამ ბუნებას ემუქრება, საქართველოს ტერიტორია მთლიანად შედის მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 34 ცხელი წერტილიდან ორში (კავკასიისა და ირან-ანატოლიის ცხელი წერტილები).

¹ “საქართველოს ტყის კოდექსის” მიხედვით, საქართველოს ტყის ფონდი მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდსა და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმით არსებულ ტყეებსა და მათ რესურსებს.

² ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, 2005

დღეისათვის საქართველოს ტყეები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია. სახელმწიფო ტყის ფონდი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გამგებლობაშია, მათ შორის: სატყეო დეპარტამენტი მართავს ტყეების - 84%-ს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი - დაახლოებით 8%-ს. მცირე რაოდენობით ტყის ფართობები, მიჩენის წესით³ გადაცემული აქვს საქართველოს საპატრიარქოს. დანარჩენი ტყეების (დაახლოებით 8%) კუთვნილება გაურკვეველია. ძირითადად ეს არის ე.წ. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები, რომელთა ფიზიკურად გადაცემა კოლმეურნეობების დაშლის შემდგომ პერიოდში სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ბალანსზე არ განხორციელებულა. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების ნაწილს მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ან მათთან არსებული სახელმწიფო შპს-ები. 2007 წელს საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა სახელმწიფო ტყის ფონდის გარკვეული ნაწილის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემის გეგმის თაობაზე; თუმცა, გარკვეულ მიზეზთა გამო, აღნიშნული დღემდე არ განხორციელებულა.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილის გადაცემის ხელისშემშლელი ფაქტორების აღწერა. ასევე, ჩვენ შევეცდებით მკითხველს დავანახოთ ამ პროცესის შესაძლო დადებითი და უარყოფითი მხარეები და შევთავაზოთ ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის წარმტებით განხორციელებისათვის.

პუბლიკაციის მომზადებაში განეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ასოციაცია კივიტას გეორგიკას, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის რეგიოულ წარმომადგენლობას (WWF Caucasus PO), გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტს.

³ მიჩენის წესით ტყეების გადაცემა ხდება ტყის კოდექსის მიხედვით, პრეზიდენტის ბრძანებულებების საფუძველზე 20 წლამდე ვადით. ეს ვადა ამოწურვამდე შესაძლებელია გახანგრძლივდეს. მიჩენილი ტყეები სახელმწიფო საკუთებაა.

მმართველობის დეცენტრალიზაცია საქართველოში

ქვეყნის მმართველობის დეცენტრალიზაციის მცდელობა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი წლებიდან დაიწყო. თუმცა, ხელისუფლების კურსი არაერთხელ შეიცვალა დეცენტრალიზაციიდან ცენტრალიზაციის მიმართულებით და პირიქით.

დეცენტრალიზაცია, ზოგადი განმარტებით, არის გარკვეული უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობისა და რესურსების გადაცემა ცენტრალური ხელისუფლებიდან დემოკრატიულად არჩეულ ადგილობრივ ხელისუფლებაზე. გამოყოფენ დეცენტრალიზაციის შედეგე ძირითად ტიპებს: პოლიტიკურ, ფისკალურ და ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას.

პოლიტიკური დეცენტრალიზაცია არის ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევა და ამ წარმომადგენლობითი ორგანოებისათვის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პოლიტიკური და საკანონმდებლო გადაწყვეტილებათა მიღების უფლების მინიჭება.

ფისკალური დეცენტრალიზაცია არის ცენტრალური ხელისუფლებისაგან გადაცემული ან საკუთარი ფინანსური რესურსებით ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დეცენტრალიზებული ფუნქციების განხორციელება.

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია არის თვითმმართველობის ორგანოებისთვის ფართო უფლებამოსილებათა გადაცემა მათ შორის სახელმწიფო მართვისა და საჯარო მომსახურების სფეროში. ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის ფორმებია: **დეკონცენტრაცია, დელეგირება, გადაცემა/დევოლუცია.**

დეკონცენტრაციის დროს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მართვა ხორციელდება ადგილებზე ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობების მეშვეობით.

დელეგირება არის ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ფუნქციებისა და კომპეტენციების გადაცემა მათზე კონტროლისა და ზედამხედველობის უფლების შენარჩუნებით.

გადაცემა/დევოლუციის დროს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება სრულად გადაეცემა ადგილობრივ ხელისუფლებას და ცენტრალური ხელისუფლება არ ერევა მათ განხორციელებაში (ე.წ. ექსკლუზიური უფლებამოსილებები).

პირველი ნაბიჯები მმართველობის დეცენტრალიზაციისათვის ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში გადაიდგა (1990-91). შემოღებული იქნა არჩევითი თვითმმართველობის ორგანოები სოფლის, თემის, დაბის, ქალაქისა და რაიონის დონეზე. ამ არჩევით ორგანოებს ზედამხედველობას

უნევენ პრეფექტები, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ. ყველა აღმასრულებელი ბერკეტი პრეფექტების ხელში აღმოჩნდა, რის გამოც არჩეული ორგანოების მიერ მათი ფუნქციების შესრულება შეუძლებელი იყო. ფაქტიურად, ეს იყო არა დეცენტრალიზაცია, არამედ დეკონცენტრაცია.

შეიარაღებული გადატრიალების შედეგად პრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, პრეფექტის ინსტიტუტი გაუქმდა. რაიონის ხელმძღვანელის — გამგებლის ხელში აღმოჩნდა უზარმაზარი ძალაუფლება, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილება საგრძნობლად შეიზღუდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კონტროლი სუსტი იყო.

1995 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომლითაც დეკლარირებულ იქნა ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის დამკვიდრება. ქვეყნის ტერიტორიული პრობლემების მოგვარებამდე კონსტიტუციაში ღიად დარჩა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი. კონსტიტუციიდან გამომდინარე, 1997 წელს ძალაში შევიდა საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ”, რომლის საფუძველზეც 1998 წელს ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. ჩამოყალიბდა ადგილობრივი ხელისუფლების ორი დონე: პირველი - სოფლების, თემების, დაბებისა და მცირე ქალაქების დონეზე, სადაც არჩეულ იქნა თვითმმართველობის ორგანოები; და მეორე დონე, სადაც (რაიონები, დიდი ქალაქები) თვითმმართველობასთან ერთად არსებობდნენ ცენტრალური მმართველობის ორგანოები: გამგებლები (რაიონების ადმინისტრაციების ხელმძღვანელები) და ქალაქების მერები (ექვს დიდ ქალაქში), რომლებიც კვლავ ინიშნებოდნენ პრეზიდენტის მიერ. სხვაგვარად რომ ითქვას, 1997 წლის 16 ოქტომბრის ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდებოდა სოფელში, დაბაში, თემში და ქალაქში, ხოლო რაიონი ცენტრალური ხელისუფლების დეკონცენტრირებულ რგოლს წარმოადგენდა.

1999 წელს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი, რითაც ქვეყანამ გამოხატა მზადყოფნა მოეხდინა ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და აიღო ვალდებულება სამი წლის ვადაში მოეხდინა ამ კუთხით კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

2001 წელს ორგანულ კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ქალაქები, დაბები და სოფლები, რომელთა მოსახლეობა აღემატებოდა 5000-ს პირდაპირ ირჩევდნენ გამგებლებსა და მერებს. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ფოთი და თბილისი, სადაც მერები პრეზიდენტის მიერ ინიშნებოდნენ.

სოფლის საკრებულოები გაუქმდა და მათ ნაცვლად შეიქმნა საკრებულოთა ასოციაციები. რაიონების საკრებულოები შედგებოდა რაიონში შემავალი მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეებისგან. რაიონების გამგებლები კვლავ პრეზიდენტის მიერ ინიშნებოდნენ, მაგრამ საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან. ფაქტიურად, მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩანაცვლება ადგილობრივი მმართველობით. 2004 წელს ნათელი გახდა, რომ თვითმმართველობის სისტემა ღრმა კრიზისშია და საჭიროებს რეფორმირებას.

2004 წელს მოხდა “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ევროპული ქარტიის რატიფიცირება. ამას მოჰყვა ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც მოიცავს საქართველოს ორგანულ კანონს “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” (2005), ასევე კანონს “ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ” (2006, ამოქმედდა 2007 წლის 1 იანვრიდან) “ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ”⁴ (2005) და ა.შ.

ახალი ორგანული კანონის მიღებით დამთავრდა მმართველობიდან თვითმმართველობაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი. ადგილობრივი მმართველობა, რომელიც წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს თვითმმართველობასა და სახელმწიფო მმართველობას შორის, შეიცვალა თვითმმართველობით. ამ ორგანული კანონის თანახმად, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ერთდონიანია. საერთოდ გაუქმდა ქვედა დონე (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი) და ერთადერთ (როგორც თვითმმართველ, ისე ტერიტორიულ) ერთეულად ყოფილი რაიონების ფარგლებში ფორმირებული მუნიციპალიტეტი გამოცხადდა.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენს დასახლება (5 თვითმმართველი ქალაქი — თბილისი, ბათუმი, ფოთი, რუსთავი, ქუთაისი) და დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელიც გულისხმობს ყოფილი რაიონის ტერიტორიას. ამრიგად, დაარსდა 69 ადგილობრივი თვითმმართველობა (64 რაიონსა და 5 დიდ ქალაქში). წინათ არსებული თვითმმართველი ერთეულები ტერიტორიული ორგანოს სტატუსით გაერთიანდნენ რაიონების მუნიციპალიტეტებში.

მოქმედი კანონმდებლობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია: თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო) და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მუნიციპალიტეტში - გამგეობა, თვითმმართველ ქალაქში — მერია).

⁴ ეს კანონი არ შეეხება მინსა და ბუნებრივ რესურსებს, ეს სფეროები სხვა სპეციალური კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს.

საკრებულო შედგება 4 წლის ვადით არჩეული წევრებისგან. მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება შესაბამის მუნიციპალიტეტში შემავალი ტერიტორიული ერთეულიდან მაჟორიტარული წესით არჩეული თითო წევრისა და მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე პროპორციული სისტემით არჩეული 10 წევრისგან. ამრიგად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში — საკრებულოში, მაჟორიტარული წესით არჩეული თითო წარმომადგენელი ჰყავს არჩევნებამდე არსებულ დამოუკიდებლად მოქმედ თითოეულ სოფელს, დაბას, თემსა და ქალაქს. საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, ირჩევს საკრებულო. საკრებულოს წევრები შეიძლება განწევრიანდნენ საკრებულოს ფრაქციაში. საკრებულოს წევრს შეუძლია განწევრიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში. ფრაქცია შესაძლებელია შეიქმნას პარტიულ და არა პარტიულ საფუძველზე; მაგრამ დაუშვებელია ფრაქციაში გაერთიანება ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო (რელიგიური, პროფესიული და ა.შ.) ნიშნით.

საკრებულოს ჰყავს ბიურო, რომელიც შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისგან.

საკრებულოში იქმნება კომისიები, რომელთა საშუალებითაც საკრებულო კონტროლს უწევს გამგეობის/მერის და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, გადაწვეტილებების შესრულებასა და ასევე, ახდენს საკრებულოში განსახილველი საკითხების მომზადებას. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს საკრებულო. საკრებულოს კომისიაში, გარდა საკრებულოს წევრებისა, შესაძლებელია დროებით ან კომისიის სამოქმედო ვადით მონვეული იქნენ სხვა პირებიც, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

სხვადასხვა საკითხის შესწავლის მიზნით, საკრებულოს შეუძლია შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები. საკრებულო თავად ირჩევს ამგვარი ჯგუფის წევრებსა და თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადით, რომელიც 3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის - მერის/გამგებელის შერჩევა ხდება კონკურსის წესით და მტკიცდება საკრებულოს მიერ. გამგებელი/მერი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საკრებულოს წინაშე. კონკურსს ატარებს საკრებულოს ბიურო, რომელიც გამგებლის კანდიდატებს ასარჩევად წარუდგენს საკრებულოს. საკრებულო თავისი უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს გამგებელს/მერს. გამგებელი/მერი - არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე.

გამგებელი/მერი 1 წლის ვადით ნიშნავს გამგეობის/მერიის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს — რწმუნებულს (კონკურსის წესით).

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეები: ექსკლუზიური, დელეგირებული და ნებაყოფლობითი. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსების მართვა სწორედ თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა (მუხლი 16, „ზ“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის 47-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსები გამოცხადებულია თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად.

სახელმწიფოს უშუალო ვალდებულებაა თვალი ადევნოს, რომ თვითმმართველობამ ზუსტად შეასრულოს კანონით დაკისრებული ვალდებულებები და არ გადააჭარბოს საკუთარ უფლებამოსილებას. ამ მიზნით შეიქმნა კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“. ამ კანონით, სახელმწიფო ზედამხედველობის სახეებია: სამართლებრივი ზედამხედველობა და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობა. ზედამხედველობის მიზანია თვითმმართველობების საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია (მუხლი 8, პარაგრაფი 2) შემდეგნაირად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას: „ნებისმიერი ადმინისტრაციული კონტროლი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე, როგორც წესი, გამიზნული უნდა იყოს მხოლოდ კანონიერებისა და კონსტიტუციური პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად. თუმცა ადმინისტრაციული კონტროლი შეიძლება ასევე მოიცავდეს ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების კონტროლს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათზე დელეგირებული ამოცანების შესაბამის განხორციელებაზე“.

ზედამხედველობას ახორციელებენ სახელმწიფო რწმუნებულები — გუბერნატორები. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ზედამხედველობა შეიძლება დაეკისროს სხვა ორგანოსა და თანამდებობის პირსაც.

თვითმმართველობის რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ადგილობრივი თვითმმართველობის არსებულ სისტემას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

დადებითი:

- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების შედარებით ნათელი გამიჯვნა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და რაციონალიზაცია;
- ერთიანი მუნიციპალური პოლიტიკის გატარება თვითმმართველ ერთეულში გაერთიანებულ ყველა შიდა-ადმინისტრაციულ ერთეულში;
- თვითმმართველი ერთეულების კუთვნილი ძირითადი ქონების გადაცემისა და ინვენტარიზაციის პროცესის დანყება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების კანონის მიღება, გამოთანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის შემუშავება;

უარყოფითი:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე სახელმწიფო ზეგავლენის გაძლიერება⁵;
- გამსხვილების შედეგად თვითმმართველობის დაშორება მოსახლეობასთან (განსაკუთრებით მრავალრიცხოვან მცირე დასახლებებში);
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული ცალკეული სახის მომსახურების არათანაბარი ხელმისაწვდომობა თვითმმართველ ერთეულში გაერთიანებული სხვადასხვა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობისათვის;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ზედმეტი პოლიტიზაცია;
- მთელი რიგი შემოსავლების წყაროთა ცენტრალიზაცია, რამაც შეამცირა თვითმმართველობათა შემოსავლები.

⁵ თავად თვითმმართველობებიც კი სკეპტიკურად უყურებენ ცენტრალურ ხელისუფლებაზე რეალური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში თვითმმართველობებში გამოიხატა საკუთარი ინტერესების დაცვის ტენდენცია და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი ინტერესების ლობირების მცდელობა, რაც უდავოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამის ნათელი მაგალითი იყო წინააღმდეგობა ტყეების ნაჩქარევი გადაცემასთან დაკავშირებით.

სატყეო სექტორის დეცენტრალიზაცია

საქართველოს გასაბჭოებამდე ტყე ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კერძო მფლობელებს, ეკლესიებს, სოფლებს და თემებს (ანუ ოჯახებსა და გვარებს); მთიან რეგიონებში, გარკვეულწილად, ეს ტრადიციები ისევ შემორჩენილია.

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ტყე გამოცხადდა სახელმწიფო (მოგვიანებით საერთო-სახალხო) საკუთრებად. ტყეები დაიყო ორ ჯგუფად: სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები (რომელშიც შედიოდა სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ტყეები, ქალაქის ტყეები, სხვადასხვა ორგანიზაციაზე მიჩენილი ტყეები და ნაკრძალები) და საკოლმეურნეო ტყეები (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კუთვნილი ტყეები).

საკოლმეურნეო ტყეებში ტყითსარგებლობას ახორციელებდნენ კოლმეურნეობები და მათი წევრები — კოლმეურნეები. საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის ტყითსარგებლობის წარმოება იყო უფასო, ხოლო კოლმეურნეობის წევრები ტყითსარგებლობას ახორციელებდნენ შეღავათიანი პირობებით ან უფასოდ. საკოლმეურნეო ტყეებში მერქანსა და სხვა პროდუქციაზე კოლმეურნეობათა საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ კოლმეურნეობას შეეძლო ტყითსარგებლობის უფლება მიეცა სხვა ტყითმოსარგებლებებისათვის. დამზადებული პროდუქციისათვის მათ თანხა უნდა გადაეხადათ სახელმწიფო ტყეებისათვის დადგენილი ნიხრების მიხედვით. კანონის მიხედვით, მიღებული თანხები უნდა მოხმარებოდა სატყეო მეურნეობის გაძღოლას. კოლმეურნეობის წევრთა/რწმუნებულთა კრების თანხმობით შესაძლებელი იყო საკოლმეურნეო ტყის ნაწილის, ან მთლიანად სახელმწიფოსათვის გადაცემა.

როგორც ვხედავთ, ასეთი სისტემა ფორმალურად შეიცავდა სოციალური სამართლიანობის ელემენტებს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტყის რესურსების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა; მაგრამ მეორეს მხრივ, ეს სისტემა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა კორუფციისათვის. ძლიერი კონტროლის მექანიზმებისა და საზოგადოების მხრიდან მონიტორინგის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია დაადგინო შეღავათიან ფასში (ან უფასოდ) მოჭრილი ხე მართლაც კოლმეურნემ გამოიყენა, თუ გარეშე პირმა - ე.წ. “სხვა ტყითმოსარგებლემ”.

საბჭოთა კავშირის დაშლას კოლმეურნეობების დაშლაც მოჰყვა. იმ წლებში, კოლმეურნეობების ქონება, მათი წევრთა კრებების გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაეცემოდა სახელმწიფოს. ასევე მოხდა ფორმალურად ტყეების ერთი ნაწილის გადაცემაც, თუმცა რეალურად გადაბარება (მიღება-ჩაბარება) არ მომხდარა. ზოგ

ადგილებში კი ასეთი ფორმალური გადაცემაც კი არ განხორციელებულა. უპატრონოდ დარჩენილი ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები, უმონყალოდ ნადგურდებოდა, რასაც ქვეყანაში შექნილი სამოქალაქო ომით გამოწვეული განუკითხაობა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი უწყობდა ხელს.

1995 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება⁶, რომლითაც განისაზღვრა, რომ საქართველოს ტყეებში შექმნილი უმძიმესი ვითარების გამოსასწორებლად საჭირო იყო ერთიანი სახელმწიფო სატყეო სამსახურის ჩამოყალიბება, რისთვისაც ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები, ასევე, მის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, ორი თვის ვადაში უნდა გადასცემოდა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს.

ცხადია, რომ ამ დადგენილების სრულად შესრულება ვერ მოხერხდა და ტყეების ნაწილის გადაცემა არ განხორციელდა.

1999 წელს მიღებული იქნა ახალი ტყის კოდექსი, რომლის თანახმად, სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი მოიცავს ადგილობრივ ტყის ფონდსაც, რომელსაც მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები შესაბამისი სამსახურების მეშვეობით. ამავე კოდექსის მიხედვით, უნდა შემუშავებულიყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება “ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილების, სახელმწიფო ტყის ფონდისგან ადგილობრივი ტყის ფონდის გამიჯვნის წესის შესახებ”.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდისათვის არ იყო სრულად განხორციელებული ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების სახელმწიფოზე გადაცემა. ამის გამო, კოდექსის თანახმად, ასევე უნდა შემუშავებულიყო პრეზიდენტის სხვა ბრძანებულება, რომლითაც მოხდებოდა ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემა.

კურიოზული მდგომარეობა ფიქსირდებოდა — ერთი და იმავე კანონის მიხედვით, ერთი და იგივე ტყის ფართობები ჯერ გადაეცემოდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს, შემდეგ კი მათ ჩამოერთმეოდათ და უკან გადაეცემოდათ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს.

⁶ საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 7 მარტის № 671-11ს დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკის საკოლმეურნეობათმორისო და მუნიციპალური ტყეების შესახებ”;

მართლაც, ამ კოდექსის მიხედვით, გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 12 სექტემბრის №404-ე ბრძანებულება “ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესის და ვადების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”. პარადოქსია, მაგრამ ამ დებულების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ატარებენ გარკვეულ ორგანიზაციულ სამუშაოებს იმისათვის, რომ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები გადასცემოდა სახელმწიფო ორგანოებს.

ამრიგად, პოსტსაბჭოთა პერიოდში ყოფილი საკოლმეურნეო კატეგორიის ტყეები ფაქტობრივად მოექცა ერთზე მეტი პატრონის ხელში, ანუ დარჩა უპატრონოდ და წლების განმავლობაში ძლიერ დეგრადირდა. უმეტეს ნაწილებში მერქნული მარაგები მთლიანად განადგურდა და მხოლოდ ბუჩქნარია შემორჩინილი. ზოგ ადგილას კი ტყე პირწმინდად გაიჩეხა და ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების ფართობები მოსახლეობის მიერ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად: სახნავ-სათესად, საძოვრად, სათიბად. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებიდან დაახლოებით 170 ათასი ჰექტარი დღემდე არ შედის სატყეო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში.

ბუნებრივი რესურსების მართვის ეფექტური დეცენტრალიზაციის აუცილებელი წინაპირობები

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ბუნებრივ რესურსებზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობისათვის თანაბარი და სამართლიანი პირობების შექმნის მიზნით, სულ უფრო ხშირად იყენებენ თანამონაწილეობითი და დეცენტრალიზებული მართვის სისტემას. ამავდროულად, დეცენტრალიზაციის განხორციელება ახალ შესაძლებლობებს იძლევა ტყის რესურსების მდგრადი გამოყენებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის. ამაში იგულისხმება, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის როგორც ძალაუფლების, ისე პასუხისმგებლობების განაწილება. ტყის მდგრადი მართვის ხარისხს განაპირობებს ეროვნულ პოლიტიკასა და კანონმდებლობაში ტყეებთან დაკავშირებული ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების

⁷ ამ დებულებით განსაზღვრულია, რომ გადასაცემი ტყის ფონდის (ანუ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის) მიწების გამიჯვნა ხდება საქართველოს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ 12.09.2000. №403 პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით, რომელიც ტყის კოდექსს არ შეესაბამება.

ჰარმონიული შეთავსება. ასევე მნიშვნელოვანია სატყეო-სამეურნეო, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გათვალისწინება ადგილობრივ დონეზე.

ადგილობრივ დონეზე არსებული ძირითადი დაინტერესებული მხარეები — ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თემები და სატყეო მრეწველობის წარმომადგენლები უფრო ახლოს არიან ტყეებთან და მათთან დაკავშირებულ პრობლემებთან, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ქმნიან პოლიტიკას და კანონმდებლობას ეროვნულ დონეზე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უშუალო და პირდაპირ შეხებაში არიან მათთან, ვინც ცხოვრობს ტყეებთან, მუშაობს ან დამოკიდებულია ტყიდან მიღებულ შემოსავლებზე.

ბუნებრივი რესურსების მართვის დეცენტრალიზაციამ შეიძლება მოიტანოს როგორც დადებითი შედეგები (გარემოს შენარჩუნებისა და სოციალური სამართლიანობის კუთხით), ისე უარყოფითი (კორუფციის დონის გაზრდა და ბუნებრივი რესურსების ზეჭარბი ათვისება). ორივე მიმართულებით არსებობს უამრავი მაგალითი მსოფლიოში. ყველაფერი დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე:

- რამდენად საკმარისი უფლებები გადაეცემა რეალურად ადგილობრივ ხელისუფლებას;
- რამდენად სამართლიანი და ადეკვატურია ცენტრალური ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა;
- რამდენად ეფექტური და სამართლიანია ადგილობრივ თვითმმართველობებზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა;
- რამდენად დემოკრატიულია ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა, არჩევის წესის ჩათვლით;
- რამდენად არსებობს ადგილობრივი ხელისუფლების ხალხის წინაშე ანარიშვალდებულების ქმედითი სისტემა და ა.შ.

ბუნებრივი რესურსების მართვის დეცენტრალიზაციის პროცესის წარმატებულად განხორციელებისათვის, ექსპერტები გვთავაზობენ შემდეგ რეკომენდაციებს⁸:

⁸ “ბუნებრივი რესურსების დემოკრატიული დეცენტრალიზაცია”, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი, J.C. Ribot, 2002

1. უპირველესი პრიორიტეტი არის მუშაობა ადგილობრივ დემოკრატიულ ინსტიტუტებთან;
2. შესაბამისი და საკმარისი ძალაუფლების გადაცემა;
3. გადაცემული ვალდებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი უფლებამოსილებებით;
4. თანასწორობისა და სამართლიანობის ხელშეწყობა;
5. გარემოსდაცვითი სტანდარტების აუცილებელი მინიმუმის დანერგვა;
6. სამართლიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემის დანერგვა;
7. ადგილებზე სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა;
8. დეცენტრალიზაციის შედეგების დროში გამოცდა;
9. დეცენტრალიზაციის პროცესისა და მისი შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისათვის ინდიკატორების შემუშავება.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ტყეები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია. კანონმდებლობა უშვებს, რომ მათი გარკვეული ნაწილი მართული იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. კერძოდ, საქართველოს ტყის კოდექსი განსაზღვრავს, რომ საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდში შეიძლება არსებობდეს ადგილობრივი ტყის ფონდი, რომელსაც მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შესაბამისი სამსახურების მეშვეობით. კოდექსი ასევე განსაზღვრავს ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია ექსკლუზიურად მართოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამგვარი საკანონმდებლო ნაწინამძღვრები, ხოლო ტყის კოდექსის მიღებიდან 9 წელი გავიდა, სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის კუთხით პრაქტიკული ღონისძიებები დღემდე არ გატარებულა. მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი პოლიტიკური ნების არარსებობა იყო.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემის პოლიტიკური ნება საქართველოს მთავრობამ 2007 წელს გამოხატა. გაკეთდა რამდენიმე პოლიტიკური განცხადება ადგილობრივ თვითმმართველობებზე ტყეების გადაცემის გადანყვეტილების შესახებ.

ნინა წლების “გამოცდილებიდან” გამომდინარე, როდესაც მოუხდათ გზადაგზა არაერთი შესწორების შეტანა კანონმდებლობაში, 2007 წლის დასაწყისში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიიჩნია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მერქნული რესურსებით მომარაგება ადგილობრივი თვითმმართველობის საზრუნავი გამხდარიყო. ასევე იმედი ჰქონდათ, რომ ტყეების უმეტეს ნაწილს მოკლე ხანში გადასცემდნენ კერძო მესაკუთრეებს სარგებლობისათვის, რაც მათ ააცილებდათ ტყეების მოვლის, დაცვისა და აღრიცხვის ჩატარების პასუხისმგებლობას და ეს ინვესტიორების ვალდებულება იქნებოდა. სამინისტროს დარჩებოდა მხოლოდ ლიცენზირებისა და კონტროლის ფუნქცია (მიუხედავად ტყის მმართველი სუბიექტისა). ამ ფუნქციებზე მოსარგებად დაიწყო სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის რეორგანიზაცია და სტრუქტურული რეფორმა. გარდა იმისა, რომ რეფორმა მოვლენების წინმსწრები წესით დაიწყო, მას ტრადიციულად არ უძღვოდა წინ რაიმე სტრატეგიული შეფასება.

მხოლოდ ამის შემდეგ შემუშავდა “საქართველოს სატყეო პოლიტიკის” დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და ადგილობრივ თვითმმართველობებზე გადაცემის საჭიროება.

მთავრობის მხრიდან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მათი გადაცემისათვის სხვა პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა. 2007 წლის 23 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო №105-ე დადგენილება “ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ”. ამ დადგენილებაში აღინიშნა, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 30 ოქტომბრამდე უნდა უზრუნველყო ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადაცემული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყეკაფების გამოყოფის სამუშაოთა განხორციელება. ანუ იგულისხმებოდა, რომ ამ პერიოდისათვის გადაცემის პროცესი დასრულებული უნდა ყოფილიყო⁹.

⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადასაცემად განისაზღვრა დაახლოებით 800000 ჰა ტყის ფართობი, რომელიც შედგება ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისგან (დაახლოებით 500.000 ჰა) და მათი მიმდებარე სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიებისგან.

პრობლემები, რომელმაც ხელი შეუშალა ადგილობრივ თვითმმართველობებზე ტყეების გადაცემას პირველ ეტაპზე

მთავრობის გადანყვევტილება თვითმმართველობებისა და სახელმწიფო რწუნებულებისთვისაც კი საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. ფაქტობრივი მდგომარეობა იყო ასეთი:

- ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების უმეტესი ნაწილი დეგრადირებულია;
- უკანონო ქრების ფაქტები არ არის აღრიცხული;
- გადასაცემად განსაზღვრულ ტყეებში ინვენტარიზაცია (ტყეთმონყობა) არ არის ჩატარებული, ანუ არ არის შეფასებული რა მერქნული მარაგები არსებობს ხანგრძლივადიან პერსპექტივაში და არა ერთჯერადად;
- არ არსებობს მატერიალური და ტექნიკური ბაზა ადგილობრივ დონეზე სატყეო მეურნეობის სანარმოებლად.

გაურკვეველი იყო, ვისი დაფინანსებით ჩატარდებოდა ტყეების მიღება-ჩაბარების პროცესი, სახელმწიფოს თუ თვითმმართველობის. ამ პროცესის ფორმა და პროცედურა არ იყო დადგენილი. პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ამ პირობებში და ასეთ მოკლე პერიოდში მიღება-ჩაბარების განხორციელება. მძიმე ფონი შექმნა იმ გარემოებამ, რომ ბოლო პერიოდში სატყეო მეურნეობის ბევრი ყოფილი თანამშრომელი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სამსახურეობრივი დანაშაულის გამო. როგორც ერთ-ერთმა რწმუნებულმა აღნიშნა, ასეთ პირობებში ტყეების გადმობარების შემთხვევაში თვეში თითო გამგებლის დაჭერა მოუხდებოდათ, ვინაიდან შეუძლებელი იქნებოდა დადგენა, უკანონო ქრა რომელი მფლობელის დროს განხორციელდა.

თვითმმართველობებს არ გააჩნდათ ტყის მართვის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების მქონე საკმარისი ადამიანური რესურსი. ხშირ შემთხვევებში თვითმმართველობების წარმომადგენლები ერთმანეთში ურევდნენ ინვენტარიზაციის (ტყეთმონყობის) და მიღება-ჩაბარების ცნებას.

ასევე გასათვალისწინებელი იყო ფინანსური მომენტი. უხეში გათვლებით, ტყის მართვის ადგილობრივი სამსახურების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის რეგიონის მასშტაბით საშუალოდ 200 000 ლარი იყო საჭირო წელიწადში. შუა წელში, როდესაც რაიონული ბიუჯეტები უკვე განერილი იყო, ასეთი თანხის დამატებით მოძიება თვითმმართველობებისთვის შეუძლებელი იყო.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, თვითმმართველობებმა უარი განაცხადეს აეღოთ ასეთი პასუხისმგებლობა და გადმოებარებინათ სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილი. მათ მოახერხეს ამ საკითხში საკუთარი ინტერესების დაცვა პრეზიდენტის რწმუნებულების-გუბერნატორების მეშვეობით, რის გამოც პროცესი ნაჩქარევად

ალარ გაგრძელდა. ეს იყო ერთ-ერთი კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოახდინონ საკუთარი ინტერესების ლობირება მუნიციპალიტეტებმა.

რა პრობლემები გაღრმავდა გადაცემის დაგვიანების შედეგად

მთავრობის სურვილი, რომ 2007 წლის შემოდგომაზე განხორციელებულიყო ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა და მათი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადაცემა, შეფერხდა პროცესის არასწორი დაგეგმვის გამო. ამასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა შემოდგომაზევე იჩინეს თავი.

ოქტომბრის ბოლოს, როდესაც უკვე შემოდგომის წვიმების სეზონი იდგა და მაღალ მთაში ჩამოთოვა კიდეც, ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს ჰქონდა შეშა ზამთრისთვის მომარაგებული რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში. ნოემბრის მეორე დეკადის ბოლოს შეშა მომარაგებული ჰქონდა მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს. ასეთივე მდგომარეობა იყო მთელს საქართველოში.

შექმნილი მდგომარეობიდან სწრაფი გამოსავლის მოსაძებნად პრეზიდენტის ინიციატივით გადაწყდა მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის შეშის ვაუჩერების დარიგება. ვაუჩერი გულისხმობდა თითოეული ოჯახისათვის 5 კუბური მეტრი შეშის ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლისგან (10-15 ლარის) გათავისუფლებას. ასევე მოიხსნა დამზადებული ხე-ტყის ტყიდან ტრანსპორტირებაზე დაწესებული 24-საათიანი შეზღუდვა. თუმცა, ვაუჩერის გამოყენება მიმდინარე წელს ბევრმა ვერ შესძლო ტრანსპორტირებისა და მერქნის დამზადების სიძვირისა და უამინდობის გამო. შედეგად, მერქნის მოპოვება ხდებოდა ისეთ ადგილებში, სადაც ტყეკაფები ან არ იყო გამოყოფილი, ან გამოიყო ჭრის წესების დარღვევით, ადვილად მისადგომ ადგილებზე. ყოველივე ამან ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია.

ბოლო დროს გატარებული ცვლილებები¹¹

მიღების დღიდან, 2005 წლის 11 აგვისტოდან, მთავრობის 132—ე დადგენილებაში “ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” შევიდა არაერთი ცვლილება. დღეისათვის ადგილობრივი მოსახლეო-

¹⁰ ვაუჩერის მოქმედების ვადა არის 2012 წლამდე

¹¹ საქართველოს მთავრობის 15.05.2008 №129 დადგენილება

ბისათვის ლეგალურად შესაძლებელი გახდა საშემესთან ერთად პირადი მოხმარების მიზნით სამასალე მერქნის მოპოვება. კერძოდ, ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის მფლობელებს დაევალებათ მოპოვებული სამასალე მერქნის 15% გადასცენ პრეზიდენტის რწმუნებულებს — გუბერნატორებს, დაზარალებული მოსახლეობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, შესაძლებელია ერთ კომლზე მოხდეს არაუმეტეს 5 კუბური მეტრი ზეზემდგომი ხე-ტყის დამაგრება სამასალე მერქნის მისაღებად. გარკვეული უფლებების გადაცემა მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზეც, რომლებიც მარტივი ადმინისტრაციული წესით იღებენ გადაწყვეტილებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მერქნის გაცემის შესახებ. ანუ მოხდა გარკვეული უფლებების დეკონცენტრაცია.

რა სჭირდება ადგილობრივ თვითმმართველობებს?

როდესაც საუბარია ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ტყის ფონდის ნაწილის გადაცემის მიზანზე, ძირითადად მხედველობაში აქვთ სოფლის მოსახლეობის შუიით (ან უკეთეს შემთხვევაში სამასალე მერქნითაც) მომარაგება. თუმცა, ადგილობრივი ტყის ფონდი სხვა პრობლემების მოგვარებისთვისაც არის საჭირო.

ალბათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისვას კითხვები:

- რაში შეიძლება გამოიყენონ თვითმმართველობებმა ადგილობრივი ტყის ფონდი?
- რა წარმოადგენს ამ გადაცემის მიზანს?

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თვითმმართველობები არ არიან ერთგვაროვანი წარმონაქმნები. ჯერ ერთი, თვითმმართველობებს წარმოადგენენ დიდი ქალაქებიც. მათ ადმინისტრაციულ საზღვრებსა და მიდამოებშიც არის სახელმწიფო ტყის ფართობები და მათაც აქვთ გარკვეული მოთხოვნები ამ ფართობებთან დაკავშირებით, რომელთაგან მერქნითი რესურსების მიღება არ არის პირველი რიგის საჭიროება. მეორეც, საქართველოს კუთხეები განსხვავდებიან ტრადიციებით, მათ შორის ტყეებთან დაკავშირებული ტრადიციებით. ზოგიერთ მთიან კუთხეში დღემდე იცავენ ამა თუ იმ გვარის თუ თემის საკუთრების უფლებას ტყეზე. ტყის ყოველ მონაკვეთს ოდითგანვე მინიჭებული აქვს გვარის თუ თემის სახელი და არაფერს მოჭრის ხეს სხვის სახელდებულ ტყეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საქციელი სერიოზული დაპირისპირების საგანი შეიძლება გახდეს.

დღემდე არის შემორჩენილი ე.წ. “ხატის ტყეები”. “ხატის ტყეები” წარმოადგენენ თავისებურ დაცულ უბნებს, ნაკრძალებს, სადაც არავინ არ შედის, ხის მოჭრაზე ან სხვა რამე სახის ტყისსარგებლობზე საერთოდ ლაპარაკიც წარმოუდგენელია. ეს არ

არის საეკლესიო ტყეები, ანუ ტყეები, რომლებიც გასაბჭოებამდე იყო ეკლესიის საკუთრებაში, არამედ არის ტყე, რომელიც უფრო სხვადასხვა თემის (ხევსურების, ფშავეების, გუდამაყრელების) ადათ-წესებს უკავშირდება.

თვითმმართველობის სისტემის უპირატესობა ის არის, რომ შესაძლებელია სხვადასხვაგვარი მიდგომის გამოყენება კონკრეტულ თვითმმართველობაში გაერთიანებული დასახლებების ტრადიციების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ, თუ როგორ უნდა მართონ ტყეები და სატყეო მიწები მიზნობრივი თვალსაზრისით.

ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის მიწებთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება სპეციალური კანონით (საქართველოს კანონი “ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ”). ამ კანონის მიხედვით, ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის მიწებზე აიკრძალა ყოველგვარი მშენებლობა, მიჩენის წესით ან სპეციალური სარგებლობა და ა.შ. ეს კანონი მიღებულია 2000 წელს იმ მიზნით, რომ შეჩერებულიყო 90-იანი წლების მიწურულს არსებული საშიში ტენდენცია, როდესაც პრაქტიკულად უკონტროლოდ, მერიის ნებართვით, თბილისის გამწვანებული ადგილების უმეტესობას სამშენებლო მოედნებად გადაქცევის საშიშროება დაემუქრა. სკვერებსა და პარკებში სოკოებივით მრავლდებოდა ბენზინ-გასამართი სადგურები, რესტორნები, კერძო სახლები. მაგრამ ამ კანონმა მოიტანა მეორე უკიდურესობა. შეუძლებელი გახდა ისეთი მშენებლობების განხორციელება, რომლებიც საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენდნენ. მაგალითად, ავჭალის მოსახლეობას სურდა მათ უბანში აშენებულიყო ეკლესია. ტერიტორია, სადაც შესაძლებელი იყო ამგვარი მშენებლობის განხორციელება, შედიოდა სახელმწიფო ტყის ფონდში. ამის გამო, საჭირო იყო პარლამენტის გადამწყვეტილებით ზემოხსენებული კანონის შეცვლა. ანუ, მოსახლეობისათვის პრობლემის მოგვარება არათუ თვითმმართველობის ორგანოს, არამედ იმ სახელმწიფო დაწესებულებასაც არ შეეძლო, რომლის ბალანსზეც ირიცხებოდა ეს ტყის ფონდი (სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი). მოგვიანებით, დღის წესრიგში დადგა სამშენებლო სექტორში ინვესტიციების განხორციელების მიზნით თბილისის გარეუბანში გარკვეული ტერიტორიის პრივატიზების საკითხი (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია, სატყეო მიწები). ამისათვის პარლამენტმა ზემოხსენებულ კანონში სპეციალურად შეიტანა ცვლილება, რითაც

დაშვებულ იქნა საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა.

ამრიგად, თუ ამ შემთხვევების კონტექსტში გავიხსენებთ ზემოთ დასმულ ორ კითხვას, მივიღეთ შემდეგ პასუხებს:

- თვითმმართველობებს ადგილობრივი ტყის ფონდი სჭირდებათ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მშენებლობების (რელიგიური, სარეკრეაციო მიზნებით) განსახორციელებლად;

- ადგილობრივი ტყის ფონდის განკარგვის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების მოთხოვნის, თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილება (პირველ შემთხვევაში) და ინვესტიციების გზით შემოსავლების მიღება (მეორე შემთხვევაში).

ორივე შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდი მისსავე საკუთრებაში ყოფილიყო და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიზნობრივი თვალსაზრისით მისი შემდგომი განკარგვის შესახებ.

მომავალში, ადგილობრივი ტყის ფონდის გაყოფისა და თვითმმართველობებისათვის გადაცემის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ყოფილი საკოლმურნეო და მათ მიმდებარე ტყეების, არამედ თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალური ცენტრების (პატარა ქალაქები, დაბები) მიმდებარე სახელმწიფო ტყის ფონდის გადაცემაც, რომელიც მართული იქნება თვითმმართველობების შეხედულებით, საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული ტყითსარგებლობის წესების დაცვით. თუ თვითმმართველობა ჩათვლის, რომ მოსახლეობის ინტერესია ეკლესიის აშენება, ის სხვა უწყებების უკითხავად გამოყოფს ამისათვის ტერიტორიას, გასცემს ნებართვას ეკლესიის მშენებლობაზე (შესაძლოა თვითონაც ააშენოს) და გადასცემს საპატრიარქოს. თუ ინვესტორს უნდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ტყის ფონდის მიწაზე ნამოინყოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მაშინ მას მოუხდება ამ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და მისი წარმომადგენლობითი ორგანოს დარწმუნება, რომ გამოყონ ტერიტორია ამ პროექტის განსახორციელებლად და არ იქნება დამოკიდებული პარლამენტის გადაწყვეტილებაზე. ამავდროულად, უცილობლად უნდა სრულდებოდეს ტყითსარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესები, ხოლო გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს საჯაროდ და გამჭვირვალედ. ამისათვის არ არის საკმარისი ის, რომ საკრებულოს სხდომები ღიაა. ასეთი ტიპის პროექტებისათვის, რომლებიც ეხება ტყის ფონდის მიწების მიზნობრივ გამოყენებას და გარემოზე შესაძლო ზემოქმედებას, აუცილებელია საჯარო

განხილვების ორგანიზება, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების და ექსპერტების ჩართვით.

რაც შეეხება ადგილობრივი ტრადიციების (თემის ტყეები, ხატის ტყეები) გათვალისწინებას ტყის მართვის საკითხებში, ეს აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ახალი ტყის კოდექსის შემუშავებისას. თუმცა დღეს არსებული გამსხვილებული თვითმმართველობებისა და სამხარეო-ადმინისტრაციული მოწყობის არარსებობს პირობებში, ეს საკითხი რთულად მოსაგვარებელია.

ლეგალური ბაზა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და გადაცემისათვის

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ნახსენებია მოქმედი ტყის კოდექსის (1999 წ.) რამდენიმე მუხლში. 13-ე მუხლში (“ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენცია ტყის ფონდის მართვის სფეროში”) ჩამოთვლილია ის ქმედებები, რომლის განხორციელებაც უნდა შედიოდეს მათ კომპეტენციაში.

16-ე მუხლი აღნიშნულია, რომ “ადგილობრივ ტყის ფონდს, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი სამსახურების მეშვეობით, მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები”. ამავე მუხლის მიხედვით, უნდა გამოცემულიყო პრეზიდენტის ბრძანებულება “ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილების, სახელმწიფო ტყის ფონდისგან ადგილობრივი ტყის ფონდის გამიჯვნის წესის შესახებ”¹². ეს მუხლები, ანუ არსებული საკანონმდებლო ბაზა, ძალიან ზოგადი და არასაკმარისია იმისათვის, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციები ტყის მართვის სფეროში რეალურად გაიმიჯნოს. ამასთანავე, 1999 წლის შემდეგ მთელი საკანონმდებლო გარემო იმდენად შეიცვალა, რომ ტყის კოდექსის ეს ნაწილები და მთლიანად კანონიც, არ არის ჰარმონიზებული საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

როგორც აღინიშნა, ორგანული კანონი “ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველოს შესახებ” გაუქმდა და 2005 წელს ძალაში შევიდა ახალი ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”. ახალი ორგანული კანონიდან

¹² ასეთი დებულების პროექტი შემუშავდა, მაგრამ არ შესულა ძალაში.

გამდინარე, 2007 წლის 23 მაისის საქართველოს მთავრობის №105-ე დადგენილებით ძალაში შევიდა დებულება “ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ”. სამწუხაროდ, დებულება არ განსაზღვრავს, რომ აუცილებელია გადასაცემ ტყის ფართობებში გადაცემამდე ტყეთმონყობის ჩატარება/განახლება. მე-3 მუხლი აღნიშნავს, რომ თვითმმართველობებს ტყის ფონდი საკუთრებაში გადაეცემათ ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ასეთი ფორმულირება მუნიციპალიტეტებისათვის ინვესტორებზე ლიცენზიების გაყიდვის ფუნქციის მინიჭებასა და ამ გზით შემოსავლის მიღებას გამოიციხავს. ამ ჩანაწერში იგულისხმება, რომ ადგილობრივი ტყის ფონდი განკუთვნილია სოფლად მცხოვრები კომლების შეშითა და შესაძლოა, სამასაღე მერქნით მომარაგებისათვის. როგორც ჩანს, არ არის ნავარაუდები ისეთი ფართობების გადაცემა, სადაც თვითმმართველობებს მიეცემა შესაძლებლობა მოახდინონ სარგებლობის ლიცენზიების გაცემა ინვესტორებზე და ამ გზით შემოსავლის მიღება.

დებულება ძალზე ზოგადია და მასში ბევრი რამაა დაუზუსტებელი. დებულების მიზნად დასახელებულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა დადგენა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრის სფეროში. თუმცა, ამ დებულების ტექსტში აღწერილია მხოლოდ სხვადასხვა სამთავრობო დანესებულებების როლი ადგილობრივი ტყის ფონდის განსაზღვრისას და ერთი სიტყვაც კი არ არის გამიჯვნის საკითხში ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებების შესახებ. ჯერ-ჯერობით არაფრით არ არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებანი ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში¹³.

დებულებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ტყის ფონდისათვის გადასაცემი ფართობების შერჩევის მიზნით შესასრულებელ სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. არ არის დაკონკრეტებული, რას გულისხმობს ეს სამუშაოები. საჭიროა დეტალურად გაიწეროს, რა იგულისხმება ამ შესასრულებელ სამუშაოში. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ეს სამუშაოები მოიცავდეს: 1. კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებათა შეფასებას. მათ შორის,

¹³ მთავრობის დადგენილებით შეუძლებელიცაა განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებები. სწორი იქნებოდა, ამ დებულების ძალაში შესვლა მომხდარიყო პრეზიდენტის ბრძანებულებით და არა მთავრობის დადგენილებით, როგორც ეს ორგანულ კანონში ჩაინერა.

საშუაშე და სამასალე რესურსის სავარაუდო მოცულობის დადგენა, რომელსაც ყოველწლიურად იყენებს მოსახლეობა და 2. მერქნული მარაგების სავარაუდო ოდენობის, მერქნის ბუნებრივი წლიური შემატებისა და მოპოვებისათვის დასაშუაშე ოდენობების დადგენას (ანუ სრულფასოვანი ტყეთმონყობის ჩატარება).

ასევე, დებულების თანახმად, “საქართველოს მინის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია განიხილავს თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ფართობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს დამატებით დაზუსტებულ ინფორმაციას”. გაურკვეველია, გულისხმობს თუ არა ეს ინფორმაცია ტყის მერქნული მარაგებისა და მერქანზე მოთხოვნების შედარებას.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის მინების თვითმმართველი ერთეულებისათვის ჩაბარება ხდება ერთობლივად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. არ არის განსაზღვრული, რა მონაცემები უნდა იყოს აღნიშნული ამ მიღება-ჩაბარების აქტში. მიზანშეწონილია, მიღება-ჩაბარების აქტის ფორმაც დამტკიცდეს შესაბამისი ნორმატიული აქტით.

“მიღება-ჩაბარების აქტში სხვა მონაცემებთან ერთად აღინიშნება საორიენტაციო საზღვრის სიგრძე”. გაუგებარია, რას გულისხმობს “სხვა მონაცემები” და რას იძლევა საზღვრის სიგრძის აღნიშვნა, თანაც სავარაუდო სიგრძის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე ადგილობრივი ტყის მართვის სფეროში თვითმმართველობის უფლება-ვალდებულებების განსაზღვრისა და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებებისგან მკაფიოდ გამიჯვნის გარეშე დაუშვებელია ტყის გადაცემის პროცესის დაწყება.

სხვადასხვა შეხვედრებსა და განხილვებზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გამოხატავდნენ აქტიურ დაინტერესებას ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფასა და მათთვის გადაცემის საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიმართ. მაგრამ ამასთანავე გარკვეული სიფრთხილით ეკიდებიან ამ საკითხს, შემდეგ გარემოებათა გამო:

- დიდი პასუხისმგებლობა;
- გაურკვეველი უფლებამოსილებები;
- ტყის ეკოლოგიური მდგომარეობისა და რესურსების შესახებ ფაქტობრივი მონაცემების არქონა;
- მწირი ფინანსური შესაძლებლობები;

- სატყეო სფეროში გამოცდილი და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი კადრების არარსებობა:

1. სახელმწიფო ტყის ფონდიდან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდში გადასაცემი ფართობების დადგენა, ხანგრძლივადიან პერსპექტივაში ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოხმარების საჭიროებების გათვალისწინებით (თვითმმართველობის, სამხარეო და ცენტრალური ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მონაწილეობით). ყოფილ საკოლმეურნეო ტყეებთან ერთად, რომელიც დღეისათვის ძირითადად ბუჩქნარების სახითაა შემორჩენილი, უნდა მოხდეს სახელმწიფო ტყის ფონდის ისეთი ნაწილის გადაცემაც, სადაც საკმარისი მერქნის მარაგები იქნება ხანგრძლივადიან პერსპექტივაში მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად; მოსახლეობას, საშუაშე მერქნის გარდა, პირადი მოხმარებისათვის სამასალე მერქნის მოპოვების უფლება უნდა მიეცეს.

2. ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადასაცემი ტყის ფართობების ინვენტარიზაცია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ (თვითმმართველობის, მოსახლეობისა და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით); თვითმმართველობებმა უნდა მოითხოვონ გადასაცემი ტყეების მდგომარეობის შესახებ რეალური ინფორმაციის დადგენა (მერქნის მარაგების რაოდენობა, ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება, რა სამეურნეო ღონისძიებების ჩატარებაა შესაძლებელი, რომელ უბნებზეა შესაძლებელი მერქნის მოპოვება და ა.შ.)

3. დადგენილი ფართობების მიღება-ჩაბარების პროცესის კომისიური წესით განხორციელება (თვითმმართველობის, გუბერნატორის აპარატის, არასამთავრობო სექტორის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების მონაწილეობით);

4. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებთან მიმართებაში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-მოვალეობების ნათლად, მკაფიოდ განსაზღვრა და ნორმატიული აქტის სახით ჩამოყალიბება;

5. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში თვითმმართველობების მიერ მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო ფინანსების განსაზღვრა და შესაბამისი წყაროების წინასწარ დადგენა;

6. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვისათვის საჭირო ოპტიმალური ადამიანური რესურსის რაოდენობის დადგენა, მომზადება/გადამზადება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა;

7. მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების დაინტერესება და მათი მაქსიმალური ჩართვა მთელს პროცესში.

რა უნდა გააკეთონ თვითმმართველობებმა?

ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი პუნქტის შესრულება პირველ რიგში დამოკიდებულია თვითმმართველობების ინიციატივასა და პრინციპულობაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობებს გადაეცეთ ის ქონება, რაც რეალურად სჭირდებათ და არა ის, რაც ზედმეტ თავის ტკივილს წარმოადგენს სახელმწიფოსათვის. იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობების საკუთრებაში არსებული ტყის ფონდის ხარჯზე უნდა მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილება, მაშინ იქ რეალურად უნდა არსებობდეს მოსახლეობისათვის საკმარისი მერქნული რესურსი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ტყეთმონყოების შედეგად მიღებული რეალური სურათის არსებობა. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ტყეთმონყოა ფრაგმენტულად ტარდებოდა. ტყეთმონყოების მონაცემების არსებობა საჭიროა უკანონო ჭრების კონტროლისა და კორუფციული გარიგებების მიზნით მოპოვებული მერქნის არასწორი რაოდენობის ჩვენებისაგან თავის დასაცავად.

განვიხილოთ რამოდენიმე შესაძლო სცენარი:

თუ გადაცემამდე სახელმწიფო დაინყებს ტყეთმონყოების ჩატარებას იმ სატყეო კვარტლებში, რომლებიც განსაზღვრულია ადგილობრივ ტყის ფონდში ჩასარიცხად, პროცესი შესაძლოა 2-3 წელი გაინელოს.

მეორეს მხრივ, გარდა იმისა, რომ ტყეთმონყოების ჩატარება საჭიროა რეალური სურათის გასაგებად, ეს აუცილებელია კანონის მოთხოვნითაც, ვინაიდან აკრძალულია ტყეთმონყოების გარეშე ტყით სარგებლობის განხორციელება. თუ თვითმმართველობებს გადაეცემათ ტყის ფართობები, რომლებშიც ტყეთმონყოა ჩატარებულია 10 წელზე მეტი ხნის წინ, მათ საკუთარი სახსრებით მოუწევთ ამ სამუშაოს განხორციელება, ვიდრე უფლება ექნებათ რესურსის მოპოვებაზე გასცენ ნებართვები. თანაც ეს პროცესი არანაკლებ დროს დაიკავებს.

შესაძლებელია გადაცემა განხორციელდეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე კომისიური წესით მოხდეს დასაცემი ფართობების ზოგადი შეფასება. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების ფონდში არის



1. საყინულე — კარსტული მღვიმე სოფელ ნიკორწმინდასთან



2. ზვის კორომი



3. მდინარე თხმორულას ჩანჩქერი



4. კავკასიონის ხელუხლებელი ტყეები



5. სოფელ სასაშის ტყე, სადაც რამდენიმე წელია სოფლის მცხოვრებთა გადანვეტილებით, ხის ქრა აღიკვეთა



6. ნაბლნარი სოფელ თხმორთან (ამბროლაურის რაიონი), რომელსაც ტყის მჭრელებისან იცავენ სოფლის მცხოვრებნი



7. დიდი კავკასიონის კირქვიანები



8. ნამარხი მოლუსკების ანაბეჭდები კირქვებზე



9. ზესხო-აილამას მასივი — პოტენციური
დაცული ტერიტორია



10. კანონის დაცვით მოჭრილი ხე — ნომრით
ფესვის ყელთან



11. უკანონო ჭრები ნაბლნარში



12. ლაფანჭამიას მიერ დაზიანებული ხეები



13-16. უკანონო ჭრებისა და ჭრის წესების დარღვევის ფაქტები

ბუნებრივად ტყით დაუფარავი ფართობები, რომლებიც გამოიყენება საძოვრების, სათიბების ან სახნავ-სათესი მიწების სახით. ასევე არის ადგილები, სადაც ტყე გაიჩეხა და მოსახლეობა ფაქტიურად წლების განმავლობაში იყენებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულელებად. ასეთი ფართობები აღდგენას ან აღარ დაექვემდებარებიან, ან აღდგენა ძალზე ძვირი და არარენტაბელური იქნება. თანაც მათი ფაქტიური მფლობელებისათვის ჩამორთმევა და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადაცემა საბჭოთა კოლექტივიზაციის პროცესს დაემსგავსება, რაც გამოიწვევს სოციალურ დაძაბულობას და კონფლიქტებს. ასეთი კატეგორიის ფართობები შესაძლებელია ამორიცხული იყოს ტყის ფონდიდან და საკრებულოს შეხედულების მიხედვით მოხდეს მათი განკარგვა (დაუკანონდეთ ფაქტობრივ მფლობელებს, გაიციეს იჯარით, ან მოხდეს პრივატიზაცია). გარდა ამისა, პირველ ეტაპზე მოხდეს ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების ტყით დაფარული ფართობების გადაცემა. რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ დაზუსტდება ტყეთმონყობის მონაცემები, მოსახლეობის რეალური მოთხოვნები საშემე და სამასალე მერქანზე დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ტყის ფონდიდან.

მეორე ეტაპზე მოხდეს სახელმწიფო ტყის ფონდიდან იმ ნაწილის გადაცემა, რომელშიც ხე-ტყის მარაგები შესატყვისი იქნება მოსახლეობის რაოდენობისა და მოთხოვნილებისა და რომლებიც რეალურად დღესაც გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მოსამარაგებლად. ლოგიკურად, თუ სახელმწიფო ტყის გარკვეული ნაწილი მაინც საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური საჭიროების დაკმაყოფილებისთვის, იგი უნდა გადაეცეს კიდევაც თვითმმართველობებს.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: სახელმწიფო გეგმავს ხანგრძლივადიან სარგებლობაში გასცეს ტყეების ვრცელი მასივები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამ ნაბიჯის გადადგმა არ არის მიზანშეწონილი მანამდე, სანამ არ არის ჩატარებული საქართველოს ტყეების ინვენტარიზაცია/კატეგორიზაცია, დადგენილი არსებული მერქნითი რესურსები, არ გაკეთებულა შეფასება, თუ ტყის რა ფართობები იქნება საკმარისი ადგილობრივი მოსახლეობისათვის, არ მომხდარა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემა მუნიციპალიტეტებზე, არ არსებობს ადეკვატური რაოდენობით დაცული ტერიტორიები. შეიძლება შეიქმნას ვითარება, როცა თვითმმართველობებზე გადაცემული ტყეები არ იქნება საკმარისი მოსახლეობისათვის, ხოლო მათი სახელმწიფო ტყეების ხარჯზე გაზრდის საშუალება აღარ იარსებებს, ვინაიდან ისინი აღმოჩნდება კერძო მფლობელთა ხელში (მით უმეტეს, იგეგმება ლიცენზიის მოქმედების ვადის გაზრდა 50 წლამდე).

“ტყის კოდექსის” 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად: “მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ; მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე.” ამავ მუხლის მე-3 პუნქტით კი სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ ტყითსარგებლობის შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე, შესაბამისი რეგიონების მიხედვით, უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის 5 და მეტი წლით სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ.” კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, “კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადანყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას.”

ამრიგად, საზოგადოების წარმომადგენლებს, ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც უშუალოდაა დამოკიდებული ტყის რესურსებზე, უფლება აქვს დროულად, საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე, მიიღოს სათანადო ინფორმაცია ტყის ფონდის გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემის შესახებ, რათა მოახდინოს ზეგავლენა გადანყვეტილების მიღების პროცესზე. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა და საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა აქტიურად უნდა გამოსატონ პოზიცია ტყის ფონდის ინვესტორებზე გადაცემასთან დაკავშირებით, მოახდინონ საკუთარი უფლებებისა და ინტერესების აქტიური დაცვა. საქართველოს კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლევა და ყველაფერი მათ მოქალაქეობრივ შეგნებაზეა დამოკიდებული.

ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები მომზადებულნი შეხვდნენ მათ საკუთრებაში ტყის ფონდის გადაცემის პროცესს, უახლოეს მომავალში, უნდა შექმნან **დროებითი სამუშაო ჯგუფები**. სამუშაო ჯგუფებმა უნდა იმუშაონ შემდეგ საკითხებზე (მაგრამ არ შემოიფარგლონ ამით):

- მოსახლეობის რეალური საჭიროებების განსაზღვრა და ყოველწლიურად მოსაპოვებელი რესურსების სავარაუდო მოცულობების შესახებ წინადადებების მომზადება;
- ტყის მართვის ადგილობრივი სამსახურების შექმნისათვის წინადადებების შემუშავება;
- ტყის მართვისათვის სამსახურებში დასაქმებულთა სავარაუდო რაოდენობის დადგენა;
- ტყის მართვისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება;

- წინადადებები კადრების მომზადება/გადამზადებისათვის;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო ფინანსების განსაზღვრა;
- დაფინანსების სავარაუდო წყაროების დადგენა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაფინანსება

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები ადგილობრივი თვითმმართველობებს უნდა გადაეცეს საკუთრებაში. აქედან გამომდინარე თვითმმართველობებმა, ტყეების გადმობარების შემდგომ, საკუთარი ბიუჯეტიდან უნდა გაიღონ მათ მართვასთან დაკავშირებული ხარჯები. კერძოდ, ეს გულისხმობს შემდეგი ქმედებების დაფინანსებას¹⁴:

- ტყეთმონყობის ჩატარება 10 წელიწადში ერთხელ;
- ყოველწლიურად ტყეკაფების გამოყოფის სამუშაოების ჩატარება;
- ტყის მართვის სამსახურების შექმნა, აღჭურვა;
- ტყის მართვის სამსახურების ფუნქციონირება (ადმინისტრაციული ხარჯები, ხელფასები);
- ტყის მავნებლებისგან და დაავადებებისგან დაცვის ღონისძიებები;
- უკანონო ქრებისგან დაცვა;
- ტყის აღდგენა-განახლება;
- ტყის ხანძრებთან ბრძოლისა და პრევენციის ღონისძიებები;
- სხვა საოპერაციო ხარჯები.

დაფინანსების წყაროდ თვითმმართველობებმა უნდა გამოიყენონ ადგილობრივი შემოსავლები. არის კიდევ ერთი გზა საჭირო და ადეკვატური დაფინანსების მოსაპოვებლად - შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა, რათა მოხდეს გამოთანაბრებითი ტრანსფერის დადგენასა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მართვის ღირებულების გათვალისწინება. ამ საკითხის ლობირება მუნიციპალიტეტებმა უნდა მოახდინონ პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატებისა და გუბერნატორების დახმარებით.

¹⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულებში სახელმწიფო, სწორედ ბიუჯეტიდან მწირი დაფინანსებას გამო, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებს ან საერთოდ ვერ ასრულებდა, ან სრულდებოდა არასრულფასოვნად.

ზედამხედველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე ტყის ფონდის მართვის კუთხით ზედამხედველობა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით და არა მიზანშეწონილობის კუთხით. ამჟამად, სატყეო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა წინააღმდეგობრივია. სხვადასხვა დროს მიღებულ კანონებსა და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს შორის არსებული კოლიზიები ჯერ კიდევ იძლევა კორუფციული გარიგებების შესაძლებლობას. სატყეო მეურნეობის ბევრი თანამშრომელი მიეცა პასუხისგებაში, რისი მიზეზიც კანონმდებლობით მოუწესრიგებელი საკითხები გახდა (მაგ. უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის სექცესტრთან დაკავშირებული გაურკვეველი პროცედურები და სხვ.).

ტყეების გადაცემას წინ უნდა უძღვოდეს ტყითსარგებლობის წესების და ტყის მართვის სფეროში უფლებამოსილებების ზუსტი დადგენა. მიზანშეწონილია, რომ ტყითსარგებლობის წესები ერთნაირი იყოს მთელს ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, ვის საკუთრებაში ან მართვაშია ტყის ფართობები. ამაში იგულისხმება ჭრის წესები, ტყეკაფის გამოყოფის წესები, არამერქნული რესურსების სარგებლობის წესები, სამონადირეო მეურნეობისა და პლანტაციების მოწყობის წესები, მართვის გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის წარმოების წესები, სატყეო მეურნეობის წარმოების წესები და ა.შ., რომლებშიც გათვალისწინებული იქნება აუცილებლად შესასრულებელი გარემოსდაცვითი სტანდარტები. მაგალითად, რა სიხშირის ტყეებშია შესაძლებელი ჭრების დაშვება, როგორი დაქანების ფერდობებზე, ჭრას დაქვემდებარებული მერქნიანი სახეობების ჩამონათვალი, ბუნებრივ პირობებში და პლანტაციებში გასაშენებლად დაშვებული სახეობები და სხვ. ამ წესების შესრულებაზე სახელმწიფო განახორციელებს სამართლებრივ ზედამხედველობას კანონის შესაბამისად (და არა მიზანშეწონილობის კუთხით ზედამხედველობა, რასაც შინაარსით გულისხმობს მართვის გეგმების შეთანხმება, მონიტორინგის მასალების შემოწმება და სხვ.).

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო თავის დოკუმენტებში აღნიშნავდა, რომ სატყეო სექტორის რეფორმის შედეგად ის განახორციელებს ზედამხედველობას. ამისათვის ტყის ფონდის ტერიტორიის ყველა მესაკუთრისა და მმართველი სუბიექტისათვის (მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის) სავალდებულო იქნება ინვენტარიზაციის ანგარიშების სამინისტროში წარდგენა დადგენილ ვადაში. სამინისტრო ასევე დაამტკიცებს ადგილობრივი თვითმმარ-

თველობების შემუშავებულ ტყის მართვის გეგმებს. ანუ სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების ზედამხედველობა მიზანშეწონილობის კუთხით, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობას.

მომავალში საჭიროა პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. თუ არსებობს იმის საშიშროება, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებს განადგურება დაემუქრებათ და ამისათვის აუცილებელია არა მარტო სამართლებრივი, არამედ მიზანშეწონილობის კუთხით ზედამხედველობაც (რასაც გულისხმობს მართვის გეგმების შეთანხმება და ანგარიშგება სამინისტროსთან, კონტროლი გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ), მაშინ ცვლილება უნდა შევიდეს “ადგილობრივი თვითმმართველობს შესახებ” ორგანულ კანონში და ადგილობრივი ტყის ფონდის მართვა უნდა მიეკუთვნოს არა ექსკლუზიურ, არამედ დელეგირებულ უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში ტყეებთან ერთად თვითმმართველობებს უნდა გადაეცეს მათი მართვისათვის საჭირო ფინანსური და მატერიალური ფასეულობები და გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულებები. მით უმეტეს, მუნიციპალიტეტებს საკუთარი სახსრებით ტყეების მართვისთვის საჭირო თანხები და შესაძლებლობები არ გააჩნიათ.

რაც შეეხება ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ესეც დეტალურად უნდა გაინეროს კანონმდებლობაში. მათ შორის გათვალისწინებული უნდა იყოს სექვესტრი, ტყის დაცვის სფეროში უფლებამოსილებები, ტყის დაცვის მუშაკთა მიერ სამტატო იარაღის გამოყენების წესები, სანებართვო დოკუმენტაციის გაცემის წესები და ა.შ.

საზოგადოებრივი მონიტორინგი

ნებისმიერი დონის მმართველობის წარმატებულად განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებასა და ამოქმედებას. როდესაც საქმე ეხება ბუნებრივი რესურსების, მით უფრო ტყეების მართვას, ეს საკითხი კიდევ უფრო ღირებულა. მონიტორინგის წარმოებას აქვს ერთი უმთავრესი მიზანი - გაუმჯობესდეს ბუნებრივი რესურსის მდგომარეობა და მართვა.

ჩვენმა დაკვირვებამ და კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები არ სარგებლობენ სრული ნდობით არც ცენტრალური ხელისუფლების და არც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უამრავი კანონით მინიჭებული კონტროლის მექანიზმი, რასაც ემატება

ზეპირი დირექტივები და მითითებები ადგილებზე ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით.

ადგილობრივ მოსახლეობას მიაჩნია, რომ თვითმმართველობაზე ტყეების გადაცემა უფრო ხელმისაწვდომს გახდის მათთვის ტყის რესურსებს, მაგრამ ამავდროულად გამოთქვამს გარკვეულ შიშს, რომ ადგილობრივი ტყის ფონდი შესაძლებელია გახდეს უკანონო შემოსავლის წყარო მუნიციპალიტეტებისთვის. ასეთი ფაქტობრივი ვითარება კიდევ უფრო წარმოაჩენს საზოგადოებრივი მონიტორინგის საჭიროებას.

მონიტორინგი საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს გარემოს-დაცვითი მმართველობა რამდენიმე გზით:

1. ბუნებრივი რესურსების არსებული მდგომარეობის და ცვლილების ტენდენციების (გაუმჯობესდა, სტაბილურია, თუ გაუარესდა) შეფასებით. ამ სახის ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია რესურსების ათვისების შესაბამისი დონის დადგენის, ან არამართებული ქმედებების განსაზღვრისათვის;
2. კომერციული სამრეწველო ორგანიზაციებისა და ხელისუფლებისათვის შესასრულებელი მარეგულირებელი და საკანონმდებლო ვალდებულებისა და მათი აღსრულების შეფასებით;
3. გარემოსდაცვითი მმართველობის ხარისხის შეფასებით;
4. ხელისუფლების ორგანოების ან კომერციული სამრეწველო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის რეალობასთან შესაბამისობისა და სიზუსტის გადამოწმებით;
5. საფრთხის შემცველი, ან უკანონო ქმედებების გამოვლენით.

ამგვარი ქმედებების დიდი ხნის განმავლობაში უწყურადღებოდ დატოვებას, შესაძლოა, რესურსის საბოლოოდ ამოწურვა მოჰყვეს, რაც, ეკოლოგიურ ცვლილებებთან ერთად, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს ამ რესურსზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. მონიტორინგი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მთავრობის, სამრეწველო კომპანიებისა და საზოგადოების მიერ ბუნებრივი რესურსების მართვის, კანონითა და საზოგადოებრივი ღირებულებებით დაკისრებული ვალდებულების შესრულების შეფასებისათვის.

მონიტორინგის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს და შესაბამისად, არსებობს ამ ცნების არსით ერთი, მაგრამ განსხვავებული ფორმულირების განმარტება. მონიტორინგის საზოგადოდ მიღებული განმარტება მდგომარეობს შემდეგში: "მონიტორინგი არის გარემო პირობების ცვლილების და/ან რაიმე საქმიანობის შეფასების მიზნით, განმეორებადი დაკვირვების

შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი". ეს არის სპეციფიური საკითხისადმი დროთა განმავლობაში თვალყურის დევნების პროცესი. ამ განმარტების თანახმად, მონიტორინგი:

1. არის მრავალჯერადი გადამონმების პროცესი;
2. ამონმებს/ზომავს სპეციფიური საკითხის სხვადასხვა ასპექტს;
3. ამონმებს/ზომავს მიზნებთან მიმართებაში მიღწეულ პროგრესს;
4. ახმოვანებს შედეგებს, რათა სწორად წარიმართოს საქმიანობა.

არსებობს ოთხი ძირითადი რეკომენდაცია მონიტორინგის ეფექტურად წარმოებისათვის:

1. გქონდეთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, რის მონიტორინგს ანარმოებთ და რისთვის;
2. ანარმოეთ მონიტორინგი მარტივად და უშუალოდ;
3. მოიპოვეთ სანდო და მიუკერძოებელი ინფორმაცია, რომლის გამოყენება შესაძლებელია ცვლილების მიღწევისათვის;
4. გაახმოვანეთ შედეგები ზეგავლენის მოსახდენად.

მონიტორინგის შედეგების გახმოვანებას, ანუ საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას, აქვს უდიდესი მნიშვნელობა. შეიძლება ჩაატარო წარმატებული გამოძიება, გააკეთო საფუძვლიანი ანალიზი, მაგრამ თუ ამის შესახებ არ მოხდა ობიექტური ინფორმაციის გავრცელება ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით, მთელი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდება.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მართვის შესაძლებლობები

ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები, ქვეყნის უმეტეს ნაწილში ძლიერაა დეგრადირებული. ისინი ძირითადად გაჩეხილი და გამეჩხერებულია, ან ბუჩქნარების სახითაა წარმოდგენილი; ზოგ ადგილებში ეროზირებულია. ასეთ ადგილებში სრულფასოვანი ტყის ეკოსისტემების აღდგენა შეუძლებელიცაა. მათ დაკარგული აქვთ თვითაღდგენის უნარი და აქტიური ჩარევის გარეშე დეგრადაციის პროცესი გაგრძელდება. სპეციალური სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების გარეშე არც მათი გამოყენებაა შესაძლებელი.

ამ ტყეების ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის დაკანონების ანუ პატრონის გაჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი სასარგებლოდ გამოყენება.

შეიძლება სატყეო მიწების სხვადასხვა პროექტის განხორციელება, მაგალითად:

- ტყის კულტურების გაშენება;
- ტყის აღდგენა;
- სატყეო პლანტაციების გაშენება;
- არასატყეო პლანტაციების გაშენება (მაგ. თხილის პლანტაციები, სამკურნალო ან სხვა კომერციულად ღირებული მცენარეების პლანტაციები);
- ქარსაცავი ზოლების გაშენება;
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულეზად გამოყენება (საძოვარი, სათიბი, სახნავ-სათესი). ასეთი გამოყენება შესაძლებელია, თუ ეს არ გამოიწვევს ტყით დაფარული ფართობების შემცირებას და ტყის პირნიმინდად გაჩეხვას.

შესაძლებელია სატყეო მიწების ერთდროულად მრავალმხრივი გამოყენება. მაგალითად, თუ ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია, გარკვეულ ფართობზე ზოლებად აშენებენ ხე-მცენარეებს, რომლებიც ასრულებენ ქარსაცავი ზოლის ფუნქციასაც და მერქნის მიღების წყაროც არიან, ხოლო ზოლებს შორის ღია სივრცეები გამოიყენება არამერქნული კულტურების (საკვები, სამკურნალო, დეკორატიული) მოსაყვანად, ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულეზად.

დეკორატიული მცენარეების გამოყვანა, რომლებიც ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, გამოიყენება სკვერებისა და პარკების გამწვანებაში, შესაძლებელია გახდეს შემოსავლის სოლიდური წყარო.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, იქ სადაც მერქნის მიღების რესურსი შეზღუდულია, შესაძლებელია სამონადირეო მეურნეობების შექმნა. სამონადირეო მეურნეობა ერთის მხრივ მნიშვნელოვანია ეკონომიკური კუთხით (გარდა ნადირობისა, ეკოტურიზმის სხვა სახეების განვითარება, პლანტაციური მეურნეობის წარმოება), ასევე ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნების ერთგვარ საშუალებასაც წარმოადგენს. თუმცა ამგვარი პროექტები ბუნებრივი პირობების სერიოზულ წინასწარ შესწავლას, კარგ დაგეგმვასა და კაპიტალდაბანდებებს საჭიროებენ.

ევროპის ქვეყნებში დაშვებულია მუნიციპალური დაცული ტერიტორიების არსებობა. ტყის ფართობების საკუთრებაში გადაცემის შემდგომ, პრინციპში ჩვენს ადგილობრივ თვითმმართველობებსაც უნდა მიეცეთ შესაძლებლობა შექმნან ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ტერიტორიები. მაგალითად, ისეთი ადგილებისათვის დაცული სტატუსის მინიჭება, როგორებიცაა კარსტული მღვიმე “საყინულე” სოფელ ნიკორწმინდასთან, ან ჩანჩქერი მდინარე თხმორულაზე, სოფელ თხმორთან (ამბრო-

ლაურის რაიონი), მნიშვნელოვანი იქნება ტურიზმის განვითარებისათვის.

ნაბელი მეურნეობა

ნაბელი მეურნეობა არის ტყის მართვის ტრადიციული (ზოგი სპეციალისტის თანახმად, უძველესი) მეთოდი, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდა ხის ღეროების გადაჭრას ნიადაგის ზედაპირთან ახლოს. დარჩენილი (გადაჭრილი) ღეროდან მომდევნო წლებში რამდენიმე ახალი ღერო/ტოტი იზრდება, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ იჭრება და ასე მეორდება ციკლი. ნაბელი მეურნეობა ემყარება ხის მრავალი სახეობისათვის დამახასიათებელ სწრაფი განახლების უნარს. ასეთი სახეობებია მუხა, თხილი, ნეკერჩხალი, ნაბლი, ცაცხვი, რცხილა, ვერხვი, ტირიფი, მურყანი და იფანი.

გადაჭრილი ღეროდან ხდება რამდენიმე ახალი ყლორტის ამოყრა და არა ერთი მთავარი ღეროსი. ეს ყლორტები როგორც წესი, ძალიან სწრაფად იზრდება. მაშასადამე, ნაბელი მეურნეობის საშუალებით ხდება სასარგებლო მერქნის წარმოება მდგრადი გზით შედარებით მოკლე ვადებში ახალი ხეების დარგვის გარეშე.

ჩატარებულმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია მერქნის რამდენიმე მოსავლის მიღება ღეროების განახლების პროტენციალის შეუმცირებლად იმ შემთხვევაში, თუ ჭრის ციკლის ხანგრძლივობა ოპტიმალურია. თუმცა, როცა ხეები გადაბერების ხნოვანებას უახლოვდებიან, მათი განახლების უნარი სწრაფად მცირდება. ალბათ, ეს უკანასკნელი გარემოებაა იმის მიზეზი, რომ საქართველოში ნაბელი ტყის მრავალი კორომი დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა. თუმცა, სწორი სატყეო-სამეურნეო ჩარევის შედეგად შესაძლებელი იქნება, ერთის მხრივ, მაქსიმალური მოცულობის მქონე ბიომასის დამზადება და მეორეს მხრივ, ნიადაგისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა.

აღნიშნული მეთოდით დამზადებული მერქანი მრავალი მიზნით გამოიყენება, დანყებული შემთხვევაში, დამთავრებული კალათის დასამზადებელი მასალით, რაც დამოკიდებულია ხის სახეობასა და ხნოვანებაზე. ჭრის ციკლი დამოკიდებულია სახეობაზე და დასამზადებელ პროდუქტაზე. მაგალითად, ვერხვის თანამედროვე პლანტაციებისათვის, რომლებიც გაშენებულია ენერჯის წარმოების მიზნით ბიომასის მაქსიმალური რაოდენობით დამზადებისათვის, დამახასიათებელია როტაციის 3-4 წლიანი ციკლები. მუხის შემთხვევაში, მცირე ზომის მერქნის დამზადება მოითხოვს მინიმუმ 15-20 წელიწადს.

გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, ნაბელი მეურნეობა საკმაოდ მისაღებ სისტემად ითვლება, რადგანაც ტყის ამგვარი მონაკვეთები ქმნიან ხელსაყრელ საარსებო გარემოს მრავალი სახეობისათვის.

ნაბელი მეურნეობის წარმოება შესაძლებელია ბუნებრივ ტყის კორომებში, მერქნულ პლანტაციებსა და ქარსაცავ ზოლებში, ასევე მცირე ფართობებზე საკარმიდმო ნაკვეთებშიც.

რა უნდა გავითვალისწინოთ გასაშენებელი ხე-მცენარის შერჩევასა:

- ადგილობრივი ბუნერივი პირობების შესაბამისობა;
- სწრაფი ზრდის უნარი;
- ამტანობა ცვალებადი ბუნებრივი პირობებისადმი;
- აკრძალულია ინვაზიური (უცხო) სახეობების შემოტანა და ბუნებაში გავრცელება!

სატყეო პლანტაციები¹⁵

სატყეო პლანტაციებს შეუძლიათ მრავალი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მოტანა და ტყის პროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამავდროულად, პლანტაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ბუნებრივი ტყეების მართვას, შეამცირონ მათზე ზეწოლა და ხელი შეუწყონ მათ აღდგენასა და შენარჩუნებას.

პლანტაციის მართვის მიზნები (მათ შორის ბუნებრივი ტყეების დაცვა და აღდგენა) მკაფიოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული ტყის მართვის გეგმაში და ხორცშესხული ამ გეგმის განხორციელებისას;

პლანტაციების დიზაინმა და განლაგებამ ხელი უნდა შეუწყოს ბუნებრივი ტყეების დაცვას, აღდგენასა და შენარჩუნებას და არ უნდა გაზარდოს მათზე ზეწოლა. პლანტაციის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუნებრივი დერეფნები, ბუფერები (მდინარეების გასწვრივ) და ნაირხნოვანი, განსხვავებული სასიცოცხლო ციკლის მქონე ტყის კორომების მონაცვლეობა. პლანტაციების ზომა და განლაგება შესაბამისობაში უნდა იყოს მოცემული ბუნებრივი ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი ტყის ბუნებრივი კორომების შესაბამის ელემენტებთან;

¹⁵ ეს თავი მომზადებულია სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) პრინციპების მიხედვით

ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური სტაბილურობისათვის სასურველია, რომ პლანტაციების შემადგენლობა იყოს მრავალფეროვანი. ეს გულისხმობს მერქნიანი სახეობების (ჯიშების), ხნოვანების კლასებისა და სტრუქტურის მრავალფეროვნებას.

პლანტაციებისათვის სახეობების შერჩევა უნდა შეესაბამებოდეს გარემო პირობებსა და მართვის მიზნებს; სატყეო მეურნეობის ტერიტორიის ნაწილი (პლანტაციის ფართობის შესაბამისად და რეგიონალური სტანდარტების თანახმად) უნდა იმართოს ბუნებრივი ტყის აღდგენის მიზნით;

უნდა გატარდეს ზომები, რათა შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს ნიადაგის სტრუქტურა, ნაყოფიერება და ბიოლოგიური აქტივობა. მერქნის დამზადების ტექნიკამ და მოცულობამ, გზებისა და ბილიკების მშენებლობამ და მომსახურებამ და სახეობების არჩევანმა არ უნდა გამოიწვიოს ნიადაგის დეგრადაცია (ხანგრძლივი პერსპექტივით) ან წყლის ხარისხისა და რაოდენობის გაუარესება და შემცირება, ან წყლის დრენაჟის რეჟიმის მნიშვნელოვანი ცვლილება;

უნდა გატარდეს ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან შემცირდეს მავნებელ-დაავადებების გავრცელება, ხანძრის წარმოქმნა და ინვაზიური (არაადგილობრივი, ეგზოტიკური) სახეობების შემოტანა. მავნებლებთან ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა მხოლოდ შხამქიმიკატებისა და ქიმიური სასუქების მეშვეობით, არამედ უნდა მოიცვას პრევენცია და ბიოლოგიური კონტროლი. ყველა ღონე უნდა იქნეს მიმართული იქითკენ, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ქიმიური პესტიციდებისა და სასუქების მოხმარება, მათ შორის სანერგებში.

არ უნდა მოხდეს არც ერთი სახეობის ფართომასშტაბიანი გაშენება მანამ, სანამ ექსპერიმენტებით ან/და გამოცდილებით არ დადგინდება, რომ მოცემული სახეობა კარგად ეგუება ადგილობრივ პირობებს, არ არის ინვაზიური და არ იწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ეკოლოგიურ ზემოქმედებას სხვა ეკოსისტემებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ საკითხებს, რომლებიც კავშირშია პლანტაციების გაშენების მიზნით მიწის გადაცემასთან, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების, სარგებლობისა და ხელმისაწვდომობაზე უფლებას;

მცირე განმარტებები აქტუალურ საკითხებზე

❖ რას ნიშნავს სახელმწიფო ტყის ფონდი?

სახელმწიფო ტყის ფონდი არის საქართველოს სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნიებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობა. სახელმწიფო ტყის ფონდი არ გულისხმობს მხოლოდ ტყით დაფარულ ტერიტორიებს. აქ შეიძლება წარმოდგენილი იყოს საძოვრები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სანერგეები, ნაკაფები, ნახანძრავები, მინდვრები და სხვ. საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდში შედის სამეურნეო ტყის ფონდი და დაცული ტერიტორიები. დღევანდელი კანონმდებლობით, სამეურნეო ტყის ფონდს შეიძლება განაგებდეს საქართველოს სატყეო დეპარტამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ხოლო დაცულ ტერიტორიებს - დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი. თუმცა ბევრ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობები მართავენ ადგილობრივი და ლოკალური მნიშვნელობის დაცულ ტერიტორიებსაც.

❖ რა არის ტყითსარგებლობა?

ტყითსარგებლობა არის ტყის ფონდის სასარგებლო თვისებების გამოყენება და ღირებულების მქონე სხვადასხვა რესურსის მოპოვება. საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია ტყითსარგებლობის რამდენიმე სახეობა: ხე-ტყის დამზადება, პლანტაციური მეურნეობის წარმოება, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, სპეციალური და მიჩენის წესით სარგებლობა, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა, საკურორტო, რეკრეაციული და სხვა მიზნით სარგებლობა, სამონადირეო მეურნეობის მოწყობა.

❖ რა არის ხე-ტყის დამზადება?

ხე-ტყის დამზადება არის ტყით სარგებლობა მერქნის მიღების მიზნით, რაც მოიცავს ხეების მოჭრას, სამანქანო გზამდე მორთევას და დახარისხებას.

❖ რა არის ტყის არამერქნული რესურსები?

ტყის არამერქნული რესურსებში იგულისხმება ცოცხალი (ბიოლოგიური) წარმოშობის პროდუქტები, რომლებიც მოიპოვება ტყის ფონდის ტერიტორიაზე. შეიძლება შეგროვებული იყოს ველური ბუნებიდან, სატყეო პლანტაციებიდან, ან ცალკე ტყის გარეთ მდგომი ხეებიდან. მაგალითად: საკვებად, ან საკვების დანამატებად გამოყენებული პროდუქტები (თხილი, კაკალი, ხილი, კენკრა, სანელებლები, ბალახები, სოკოები), მცენარეული ბოჭკო,

გირჩები, ბალახოვანი მცენარეების ნაწილები (გორგლები, ბოლქვები), ფისი (წებოს მისაღებად), სამედიცინო, კოსმეტიკური და კულტურული მიზნით გამოსაყენებელი პროდუქტები.

❖ რა არის ტყეთმონყობა?

ტყეთმონყობა არის ტყეების მდგომეობის შეფასების და მათი გამოყენების, აღწარმოების და დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვის მიზნით ჩატარებული სამუშაოთა კომპლექსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის პროცესი, რომელიც მოიცავს ტყეების რესურსების ინვენტარიზაციასა და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვას. "საქართველოს ტყის კოდექსის" თანახმად, საქართველოს ტყეებში ტყეთმონყობის მასალების გარეშე აკრძალულია ტყით სარგებლობა და სატყეო სამეურნეო სამუშაოების წარმოება, სტიქიური უბედურების შემთხვევების გარდა. საქართველოში ტყეთმონყობა ყოველ 10 წელიწადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს. იმ სატყეო ფართობებზე, სადაც ტყეთმონყობა 10 წელზე მეტი ხანი არ ჩატარებული, ჭრების დანიშვნა არ შეიძლება. ტყეთმონყობის შედეგად დგინდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრები, განისაზღვრება ტყეების მდგომარეობა, მათი სახეობრივი შემადგენლობა, ხნოვანება, ხდება რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, ტყითსარგებლობის უბნების დადგენა, ჭრის სახეების დაპროექტება, ტყის მდგომარეობიდან და ადგილის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ტყის ბიოლოგიური და პათოლოგიური გამოკვლევა, ნითელ ნუსხაში შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი, რელიქტური და ენდემური მცენარეების გავრცელების არეალის მქონე უბნების გამოვლენა. ტყეთმონყობის მასალების საფუძველზე, სპეციალური მეთოდით და მოქმედი წესების გათვალისწინებით, ხდება ტყის ფონდის ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით, მთავარი სარგებლობის ჭრებით ხე-ტყის დამზადების ყოველწლიური შესაძლო ოპტიმალური ოდენობის (საანგარიშო ტყეკაფის) დადგენა. ტერიტორიული ორგანოების საანგარიშო ტყეკაფების ჯამით მიიღება რეგიონების ან მთლიანად ქვეყნის საანგარიშო ტყეკაფის ოდენობა. სტიქიური მოვლენების, ტყის მავნებლების და დაავადებების გავრცელების, ხანძრების შემთხვევაში ხე-ტყის დამზადების მოცულობები და ვადები დგინდება სპეციალური გამოკვლევების მასალების საფუძველზე. გზების, მილსადენების, ელექტროტრასების, დატბორვის ზონების ან სხვა ობიექტების მშენებლობისას, თუ ეს უკავშირდება ხე-ტყის ჭრას, მისი მოცულობები და ვადები განისაზღვრება კონკრეტული ობიექტების მშენებლობის დამტკიცებული პროექტების საფუძველზე.

❖ რა არის ტყეკაფი?

ტყეკაფი არის ტყეში გამოყოფილი განსაზღვრული ფართობის ადგილი, რომელზეც მონიშნულია მოსაჭრელი ხეები და ტყიდან გამიჯნულია ვიზირებით (თვალსაჩინო ნიშნულით), ან ბუნებრივი საზღვრებით. ამასთანავე ტყეკაფის ნომრისა და ფართობის აღმნიშვნელი ბოძით. ბოძზე უნდა მიეთითოს გამოყოფის ადგილი, წელი და ჭრის სახე. ტყეკაფის ფარგლებს გარეთ ~~ჭრა, უნებართვო (უკანონო) ჭრად ითვლება.~~ ტყეკაფის გამოყოფა ხდება ტყეთმონყობის მასალების საფუძველზე. ტყეკაფის გამოყოფა ტყეში ხდება მისი ექსპლუატაციაში გადაცემამდე ერთი წლით ადრე. დგება მისი ათვისება-დამუშავების დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია, ტყეკაფის ფორმა და გამოყოფის დროს განსაზღვრული ძირითადი მაჩვენებლები: ტყეკაფის ფართობი, შემადგენლობა, სიხშირე, სახეობის მიხედვით მოსაჭრელი ხე-ტყის მარაგი კუბურ მეტრებში, მერქნის საშუალო მარაგი 1-ჰა-ზე, ხის ღეროს საშუალო მოცულობა, მოზარდის სიხშირე და მოსაჭრელი მერქნიანი სახეობები. ~~ტყეკაფზე თითოეულ მოსაჭრელ მერქნიან ხე-მცენარეს აქვს თავისი ინდივიდუალური ნომერი და დამლაფესვის ყელთან. ნომერი ინერება ტყეკაფის დოკუმენტში და აღნიშნული ხის მოჭრის კანონიერებას აღნიშნავს. უნომრო და დაუდამლავი ხის მოჭრა, ითვლება უნებართვო (უკანონო) ჭრად. ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა, რომელსაც გააჩნია ტყითსარგებლობის ლიცენზია, ტყეკაფზე ჭრის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს და ადგილობრივ სატყეო სამსახურთან შეთანხმოს ტყეკაფის ათვისების ტექნოლოგიური რუკა - დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფართობის, რელიეფის, ნიადაგის, ჭრის ფორმის, მორის თრევის სახეების, ხე-ტყის ზედა საწყობის ადგილის, დასატვირთი მოედნის, ხე-ტყის საზიდი გზების განლაგების, ტყის ბუნებრივი განახლების უზრუნველყოფის, ეროზიისაგან დაცვის და ტყეკაფზე არსებული მოზარდის შენარჩუნების შესახებ.~~

❖ რას ნიშნავს კორომის სიმნიფის ასაკი?

კორომის სიმნიფის ასაკი არის ასაკი, რომელშიც კორომი იძენს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება სამეურნეო მიზნებს. განასხვავებენ რაოდენობრივი სიმნიფის ასაკს (ასაკი, რომელშიც ერთი ასაკისა და სახეობის ხეებისაგან შემდგარი კორომი მოცემულ პირობებში აღწევს ცოცხალი ხის მერქნის მაქსიმალურ ოდენობას), სასაქონლო სიმნიფის (ასაკი, რომელშიც შეიძლება მიღებულ იქნეს სამასალე მერქნის მაქსიმალური ოდენობა), "ბიოლოგიური" სიმნიფის (ასაკი, რომლის შემდგომ იწყება ერთი ასაკის კორომის სწრაფი დამლა) და სხვა სახის სიმნიფის ასაკს. სხვადასხვა ასაკის ხეებისან შემდგარი

კორომისათვის ცნება "სიმნიფის ასაკი" პრაქტიკულად არ გამოიყენება. პრაქტიკაში გამოყენებული სიმნიფის ასაკი თითოეული სახეობისათვის უნდა დგინდებოდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ ფართო ტერიტორიის გარემო პირობების გათვალისწინებით.

❖ რას ნიშნავს კორომის სიხშირე?

სიხშირე განსაზღვრავს ხეთა დგომის სიმჭიდროვეს. ნორმალურ კორომში (ტყის უბანში), სადაც ხეთა დგომის სიმჭიდროვე იმდენად ხშირია, რომ იქ შეუძლებელია ხის ჩამატება, მიჩნეულია 1,0 სიხშირის კორომად. აქედან გამომდინარე კორომის სიხშირე შეიძლება იყოს 0,9; 0,8; 0,7; 0,6; 0,5; 0,4; 0,3; 0,2; 0,1.

❖ რა არის მერქნის მარაგი?

მერქნის მარაგი არის მოზარდი ხეების ვარჯის საერთო მოცულობა (გამოსახული კუბური მეტრებით ერთ ჰექტარზე). ჩვეულებრივ გამოიყენება "საძირე მარაგი" ანუ მერქნის საერთო მარაგი, კერწკროებისა და ჯირკვების ჩათვლით. ე.წ. "ლიკვიდური მარაგი" ანუ მარაგი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამეურნეო მნიშვნელობით, 10-15%-ით ნაკლებია, ვიდრე "საძირე მარაგი". ლიკვიდურ მარაგში შედის როგორც სამასალე, ისე საშეშე მერქანი.

❖ რას ნიშნავს ლიკვიდური მერქანი (ლიკვიდი)?

ლიკვიდური მერქანი არის მერქნის ნაწილი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის მიერ. ამაში შედის გაქერქილი სამასალე მერქანი და გაუქერქავი საშეშე მერქანი. ზოგადად მიღებულია, რომ ლიკვიდური მერქანი შეადგენს მერქნის საერთო მარაგის დაახლოებით 87%-ს.

❖ ტყის ჭრის რა წესები მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში?

ჭრის წესების საფუძვლები მოცემულია საქართველოს კანონში "საქართველოს ტყის კოდექსი". ჭრა რეგულირდება ამ კანონით ასევე მისგან გამომდინარე დებულებებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით. ამ წესების დაცვა სავალდებულოა ყველა უწყებისათვის, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება ტყეები, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ეწევიან ტყეში ნებისმიერი ჭრის სახეობით მერქნის დამზადებას.

საქართველოს ტყის კოდექსი თვალისწინებს ძირითადად სამი სახის ჭრის წესს: მთავარი სარგებლობის, მოვლით და სპეციალურ ჭრებს. თავის მხრივ, ეს ჭრებიც იყოფა სხვადასხვა სახეებად.

ტყის ჭრის სახეების შერჩევა წარმოებს მერქნიან სახეობათა ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებების, ტყის ტიპების, ტყის ბუნებრივი განახლების მდგომარეობის, ეროზიის წინააღმდეგ

ნიადაგის მდგრადობის, ფერდობთა ექსპოზიციისა და დაქანების სიმკვეთრის შესაბამისად.

მთავარი სარგებლობის ჭრების სახეობა: პირნმინდა ჭრა, თანდათანობითი ჭრა, ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა, ნებით-ამორჩევითი ჭრა. თითოეული მათგანი უნდა დაინიშნოს შესაბამისი ბუნებრივი პირობებისა და მოსაჭრელი სახეობის გათვალისწინებით. მთავარი სარგებლობის ჭრები, ჭრის წესების თანახმად, არ შეიძლება დაინიშნოს შემდეგ ტყის კატეგორიებში: სახელმწიფო ნაკრძალებში; ეროვნულ პარკებში; ალკვეთილებში; ბუნების ძეგლებში; დაცულ ლანდფშატებში; საკურორტო ზონის ტყეებში; მწვანე ზონის ტყეებში (დაცული, ბუნებრივი ან ხელოვნური ტყე, რომელიც დასვენების და სანიტარულ-საკურორტო დანიშნულებით გამოიყენება); ამასთანავე განსაკუთრებული დაცვითი მნიშვნელობის მქონე ტყის უბნებში, რომელთაც მიეკუთვნებიან:

- სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები (ბუნებრივი ან ხელოვნური ნარგაობები, რომლებიც დასახლებული პუნქტების, რკინიგზის და საავტომობილო გზების, არხების, სავარგულების და მდინარეთა წყლის რეგულირების მიზნითაა შექმნილი);
- ჭალის ტყეები (მდინარეთა ხეობებში გავრცელებული ტყეები, რომლებიც სეზონურად იტბორება);
- სუბალპური ზონის 300 მ სიგანის არეალში არსებული ტყეები (გარდამავალი ზოლი ტყის სარტყლიდან ალპური მდელოს სარტყელში, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა, მერქნიან და ბალახოვან მცენარეებს შორის);
- ტყის უბნები რელიქტიური, ენდემური და ძვირფასმერქნიანი სახეობების გაბატონებით;
- 35⁰-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე;
- მდინარეების, ტბების, წყალსაცავების გასწვრივ 300 მ სიგანის ნაპირდამცავი ტყის უბნები;
- რკინიგზის და საავტომობილო გზების გასწვრივ 100 მ სიგანის ტყის ზოლები.

მთავარი სარგებლობის ჭრა ინიშნება 0,6 და მეტი სიხშირის ტყის უბნებში. ჭრის ჩატარების შემდეგ, ტყენაკაფზე დაზიანებული ხეების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დარჩენილი ხეების 10%-ს. ტყენაკაფზე დარჩენილი ხის წვრილი ნარჩენები მოზარდისაგან თავისუფალ ადგილებზე, მკვრივ ხურგებად დაინყოფა ტყის მავნებლების დასახლების თავიდან აცილების მიზნით და დასალოპობად დაიტოვება, ან წვრილად დაიჭრება და მთელ ფართობზე თანაბრად გაიფანტება.

მთავარი სარგებლობის ჭრების ჩატარება სხვადასხვა მერქნიანი სახეობების კორომებში კიდევ განსაკუთრებულ წესებად არის ჩამოყალიბებული: (1) ჭრები ფიჭვნარებში, (2) ჭრები წიფლნარებში,

ნაძვნარებში და სოჭნარებში, (3) ჭრები რცხილნარებში, (4) ჭრები მურყნარებში, არყნარებში, ვერხვნარებში.

მოვლითი ჭრები - ჭრის აღრიცხვის კატეგორია, რომელიც ფორმალურად მიმართულია მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოსაყალიბებლად, სასარგებლო ფუნქციების შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად და მერქნის დასამზადებლად. მოვლითი ჭრის მრავალი სახეობა არსებობს, რომელთა ნაწილი მხოლოდ თეორიაშია. ასეთია მაგალითად, ხმელი ტოტების მოჭრა, ქვეტყის მოვლა, ტყისპირების მოვლა. ზოგიერთი სახეობის მოვლითი ჭრა, თავისი დაშვებული პარამეტრებით, უახლოვდება მთავარი სარგებლობის ჭრებს და უკანასკნელისაგან განსხვავებით შეიძლება ჩატარდეს ისეთ ტყეებში, სადაც მთავარი სარგებლობის ჭრები დაშვებული არ არის (ფერდობებზე, საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში). საქართველოს (ასევე რუსეთის) ბევრ რეგიონში მერქნის დამზადება ხდება მოვლითი ჭრების საშუალებით.

საქართველოს კანონმდებლობით, არსებობს შემდეგი სახეობის მოვლითი ჭრები, რომლებიც განისაზღვრება კორომთა ხნოვანებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით: განათებითი, განმენდიითი, გამოხშირვითი, გავლითი, სანიტარული, სარეკონსტრუქციო.

მოვლითი ჭრა ტარდება 0,7 და მეტი სიხშირის ტყის უბნებში. ჭრის მიზანია ტყეების ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური, ხარისხობრივი, სახეობრივი შემადგენლობის და სტრუქტურის გაუმჯობესება.

სანიტარული ჭრები - მოვლითი ჭრის ყველაზე გავრცელებული სახეა. სინამდვილეში ეს არის ჭრის კატეგორია, რომელიც მიმართულია კორომის მდგომარეობის შესანარჩუნებლად /გასაუმჯობესებლად, რომლის დროსაც უნდა გამოტანილ იქნეს გამხმარი, დაკნინებული, მავნებლებითა და დაავადებებით დაზიანებული ხეები. ჩასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სანიტარული ჭრები ჩვენში, ისევე როგორც რუსეთში, გამოიყენებოდა სამრეწველო მიზნით მერქნის დამზადების შესანიღბავად ისეთ ტყეებში, სადაც სხვა სახეობის ჭრები არ იყო დაშვებული.

კანონმდებლობის მიხედვით, სანიტარული ჭრა მოვლითი ჭრის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ინიშნება 0,4 და მეტი სიხშირის ტყის უბნებში, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და გულისხმობს უბნის ტერიტორიაზე ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრას. ყველა ძლიერ დაზიანებული ხე, რომელთაც აღარ აქვთ მომავალში ზრდის საშუალება, უნდა მოიჭრას. მდინარის ნაპირებზე 30-50 მეტრის სიგანეზე არ დაიშვება ტრაქტორის მოძრაობა. რკინიგზისა და გზების გასწვრივ, აგრეთვე, მწვანე ზონის და საკურორტო ტყეებში დაშვებულია მხოლოდ მოვლითი ჭრის სახე, სიხშირე ჭრის

შემდეგ არ უნდა დავიდეს 0,6-ზე ქვევით, სუბალპურ 300 მ-იან ტყის ზოლში იჭრება მხოლოდ ზეხმელი, ფაუტი და მავნებლებით დაზიანებული ხეები.

სპეციალური ჭრა ხორციელდება აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულებით, აგრეთვე, მოსახლეობის სათბობი შემთხვევაში უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ტყის მართვის ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით. ჭრის წესების თანახმად, სპეციალური ჭრა შესაძლოა განხორციელდეს: ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობის და ელექტრო გადაამცემი ხაზების, არხების მშენებლობისას და აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისას, სატყეო-სამელიორაციო, სატყეო-საკულტურე და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისას, კარიერების დამუშავებისა და ნიალისეულის ამოღებისას და სხვ. სპეციალური ჭრა არ შეიძლება დაიგეგმოს:

- ნაკრძალში, ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში, ბუნების ძეგლში, დაცულ ლანდშაფტში;
- სუბალპურ ზოლში;
- ეროზირებულ, დამენყრილ და ეროზიასაშიშ ტერიტორიაზე.
- სპეციალურ ჭრას არ ექვემდებარება:
- წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობა;
- ენდემური, რელიქტური და ძვირფასმერქნიანი სახეობა;
- ისტორიული, მემორიალური და სხვა ღირებულების მქონე ერთეული ხეები.

❖ რას აღნიშნავს ტერმინი ტყის კულტურები?

ტყის კულტურები არის ტყის ხელოვნური ნარგაობები, გაშენებული დარგვით ან დათესვით. ხშირად ტყეთმონყობის მასალებში ტყის კულტურებად მოიხსენიება ბუნებრივი აღმონაცენი, რომლებიც იზრდება იმ ადგილებში, სადაც ადრე შენდებოდა ტყის კულტურები, მაშინაც კი, როცა ეს კულტურები განადგურებულია, ან დაკნინებულია და ვითარდება ბუნებრივი ხემცენარეების საფარის ქვეშ.

❖ რა არის სატყეო პლანტაციები?

სატყეო პლანტაციები ეწოდებათ ხელოვნურად შექმნილი ტყის კულტურების ნარგავებს, რომელთა მთელი არსებობის განმავლობაში მიმდინარეობს მოვლითი ღონისძიებები (შესაძლოა სასუქების გამოყენება და ნიადაგის სპეციალური დამუშავება), მინიმალურ დროში მაქსიმალური რაოდენობის მერქნის მიღების მიზნით. ტყის პლანტაციები უფრო გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ განედებში. ჩრდილოეთის ქვეყნების ცივი კლიმატი არ

იძლევა მოკლე პერიოდში (10-20 წელი) სასაქონლო მერქნის მიღების შესაძლებლობას.

❖ რას ნიშნავს ფაუტიანი ხეები?

ფაუტიანი ხეები ეწოდებათ ხეებს დაზიანებული ვარჯით ან სხვადასხვა დეფექტით (ორკერწეროიანი, ფულუროიანი, გადატეხილი, დაღრეცილი და ა.შ.), რითაც მათი მერქნის კომერციული ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება. ფაუტიან ხეებს ხშირად გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით, იმდენად რამდენადაც ასრულებენ ბუდის, ბუნაგის, თავშესაფარის ფუნქციას, წარმოადგენენ სუბსტრატს სოკოებისა და სხვა ორგანიზმებისათვის.

❖ რა სახის დარღვევები შეიძლება ნახოთ ტყეში?

ჭრა ტყეკაფის გარეშე. ხე-ტყის დამზადება დაშვებულია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილი ტყეკაფის ფარგლებში. ჭრა უკანონოა (უნებართვოა), თუ ის ტყეკაფის გამოყოფის გარეშე, გამოყოფილი ტყეკაფის ფარგლებს გარეთ, დაშვებულზე მეტი რაოდენობით, ყალბი ან ვადაგასული დოკუმენტებით ხორციელდება. უნებართვოდ ზეხმელი, ჩახერგილი, მათ შორის ნაქცეული ხეების მოჭრა და დამზადებაც კი აკრძალულია! ტყეკაფზე ყველა მოსაჭრელ ხეს აქვს თავისი ინდივიდუალური ნომერი და დამლა ფესვის ყელთან. ასეთი მონიშნული ხეების არსებობაც ტყეკაფის გამოყოფის მაჩვენებელია. თუ ვერ ვნახავთ ტყის ჭრის ადგილას ტყეკაფის მაჩვენებელ ბოძებსა და ვიზირებს, ასევე დანომრილ ხეებს, ეს ნიშნავს, რომ ჭრა ტარდება ტყეკაფის გარეშე, ან მის ფარგლებს გარეთ და ეს უკვე მიზეზია, რომ მივმართოთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ხშირად ბოძები მხოლოდ ტყეკაფის ერთ მხარეზეა, რათა დამღრვევმა ზერელე შემომწმებას "გაუძლოს". ტყის სიღრმეში კი წესიერად არ არის ხოლმე აღნიშნული ტყეკაფის საზღვრები. ხშირად ბოძებზე არ არის სრული ინფორმაცია ტყეკაფის შესახებ. ესეც კანონის დარღვევაა.

დაშვებულზე მეტის ჭრა. ხშირად გამოყოფილ ტყეკაფში იჭრება უფრო მეტი, ვიდრე ამის უფლებას იძლევა ლიცენზია და ტყეკაფის მასალები. თუ გამოყოფილ ტყეკაფზე არის მოჭრილი ხეების ჯირკები, რომლებსაც არ აქვს ნომერი ფესვის ყელთან, ეს უკანონოდ მოჭრილი ხეა. ასევე, გადაჭრილ კუნძზე ზემოდან უნდა იყოს სპეციალური დამლა, რომელსაც ასვამს სატყეო მეურნეობა.

უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის ტრანსპორტირება და ექსპორტი. ხე-ტყის გადასაზიდად საჭიროა გადამზიდავმა იქონიოს "ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები",

ან „საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი“, რომლებიც მან მოთხოვნისამებრ უნდა წარუდგინოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს (პოლიცია, გდი, სატყეო და საბაჟო დეპარტამენტები). აღნიშნულ დოკუმენტს გასცემს ის ადგილობრივი სატყეო მეურნეობა, რომლის უფლებამოსილების გავრცელების ფარგლებშიც მოხდა რესურსის მოპოვება. მოჭრილი ხის ნომერი (რომელიც აღნიშნულია ფესვის ყელზე) გადატანილ უნდა იქნეს მისგან დამზადებულ მორზე. დაუნომრავი მორის ტრანსპორტირება აკრძალულია. თუ სატრანსპორტო საშუალება დატვირთულია მორებით, რომლებიც არ არის დანომრილი, ეს შესაძლოა მიუითითებდეს უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის არსებობაზე. რიგით მოქალაქეს კერძო პირისათვის დოკუმენტაციის მოთხოვნისა და შემოწმების უფლება არ აქვს!

ამორჩევით საუკეთესო ხეების მოჭრა. ხშირად მოვლითი (რომლის ერთ-ერთი სახეა სანიტარული ჭრა) ჭრების შედეგად იჭრება ჯანმრთელი, საუკეთესო ხეები. გამოყოფილ ტყეკაფზე ხმელი, ხმობადი, ძლიერ დაზიანებული ხეების ჭრაში არდანიშვნა დარღვევაა და კანონით ისჯება. ამდენად თუ ნახავთ, რომ გამოყოფილ ტყეკაფში არ არის დანომრილი, ანუ მოსაჭრელად მონიშნული ასეთი ხეები, ჩათვალეთ, რომ კანონი დაირღვა. დანიშნული ჭრების დროს საუკეთესო, ჯანმრთელი ხეები, ნესით, არ უნდა იჭრებოდეს. ხშირად კი პირიქით ხდება. განსაკუთრებით სავალალოა, როცა ასეთი რამ სწორედ მოვლითი (სანიტარული) ჭრების დროს ხდება, რომელიც ტყეების გაჯანსაღებას უნდა ემსახურებოდეს.

ენდემური, რელიქტური, ძვირფასმერქნიანი და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების ჭრა. თუ ნახავთ, რომ ტყეში მოჭრილია ჭალის მუხა, ნაბლი ან უთხოვარი ეს იქნება უკანონო ჭრა, ვინაიდან ეს სახეობები შეტანილია საქართველოს ”წითელ ნუსხაში“. ძვირფასი მერქნის გამო წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებიდან ყველაზე ხშირად ზემოჩამოთვლილ სახეობებს მოიპოვებენ უკანონოდ. ასევე, სავარაუდოდ დანაშაულთან გვექნება საქმე, თუ სახერხში წაანყდებით წითელი ნუსხის სახეობების მორებს.

ტყისარგებლობის წესების დარღვევა, ტყისთვის ზიანის მიყენება. არსებობს დარღვევები, რომელთა შედეგად ზიანი ადგება ტყეს და რომლებიც არ არის ძნელად გამოსაცნობი. უბრალოდ უნდა იცოდეთ, რომ ეს დარღვევაა და კანონით ისჯება. ასეთებია:

- ტყის ჭრა ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე (თუ ასეთ ფერდობზე ტყეკაფია გამოყოფილი, დანიშნულია ხეები, ეს სატყეო მეურნეობის მიერ კანონის დარღვევაზე მიუთითებს);

- ტყის ქრის დროს დაუნიშნავი ხეების ნაქცევა ან დაზიანება;
- მოჭრილი და მიყუდებული ხეების დატოვება ტყეში - ეს საფრთხეს უქნის ადამიანის სიცოცხლეს;
- ხე-ტყის დამზადებისას მოზარდი აღმონაცენის დაზიანება-გაფუჭება;
- ტყის ქრა გზისპირებზე;
- მიყოლებით მოზარდი ხეების ქრა;
- ხე-ტყის დამზადების შემდეგ ტყის ნარჩენებისგან არგანმენდა. ხშირად მიაქვთ მხოლოდ სამასალედ გამოსადეგი ხე-მცენარის ვარჯის ნაწილი, წვეროებსა და ტოტებს კი იქვე ყრიან. იკარგება უამრავი საშუალო მერქანი, ნაყარი კი ხელს უშლის აღმონაცენს და ხელს უწყობს ტყის დაავადებების გავრცელებას;
- სადღესასწაულო, რელიგიური, სარიტუალო, დეკორატიული და სხვა მიზნით ხეების დაზიანება, ტოტების მოჭრა (ბზის ტოტები ბზობისათვის, უთხოვარის ტოტები, საახალწლოდ წინვოვნების მოჭრა, ასევე ვარჯის წვერის ნაჭრით მცენარის დაზიანება);
- ნაყოფისმომცემი ხეების პროდუქტების შეგროვება ტოტების მოჭრით (ჯონჯოლი, ქაცვი, ასკილი, კონახური, შინდი, ნუში და სხვ.);
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე უნებართვო (უკანონო) ძოვება, ხვნა და თიბვა;
- ტყის ფართობების თვითნებურად შემოკავება, შემოღობვა და მითვისება;
- გაუქმრქავი წინვოვანი ხის მორების ტყიდან გამოტანა, ან ტყეში დამარაგება.

ნიადაგის დაზიანება. მერქნის გამოზიდვის დროს ნიადაგის ზედაპირული ფენის დაზიანება და ამით ეროზიის წინაპირობის შექმნა აკრძალულია. ამას იწვევს დაცურებით ხე-ტყის გამოტანა, რის შედეგადაც ვითარდება მენყრული მოვლენები. ყველაზე ხშირად დაცურების კვალი შეიმჩნევა ტყეების სიახლოვეს განლაგებულ სოფლებთან, სადაც სახერხებში ხდება მერქნის პირველადი დამუშავება. ამასთანავე, როგორც წესი, ტყიდან დაცურებით გამოაქვთ უკანონოდ მოჭრილი ხეები.

მერქნის პირველადი დამუშავება ტყეში. ხე-ტყის პირველადი დამუშავება ტყეში აკრძალულია. თუ შეამჩნევთ, რომ ტყეში მუშაობს გადასატანი სახერხი, იცოდეთ, რომ ადგილი აქვს კანონის დარღვევას და გდი-ს უნდა მიმართოთ.

სახერხები. ხე-ტყის სახერხ საწარმოებში აკრძალულია უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის დამუშავება და ეს კანონით ისჯება. რიგით მოქალაქეს არ აქვს უფლება შეამონმოს საწარმოში ხე-ტყის წარმოშობის კანონიერება, მაგრამ არსებობს ძალზე თვალნათელი დარღვევები სახერხების ფუნქციონირებისას. სახერხის ტერიტორიაზე უნდა იყოს სპეციალური ორმო, სადაც გროვდება ნახერხი. ხშირად, ნახერხი გორებად ყრია სახერხის ეზოში ან მის გარეთ და რაც უფრო მეტი ზიანის მომტანია გარემოსათვის - იყრება მდინარეში. ნახერხი იწვევს ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას, ქიმიურ რეაქციაში შედის მათ კომპონენტებთან, რითაც იმატებს მუავიანობა. ეს უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, რადგან მავნე ნივთიერებები ნიადაგისა და წყლის გავლით საბოლოოდ ჩვენს საკვებში და შემდეგ ორგანიზმში ხვდებიან. ასევე დარღვევაა, როცა სახერხში შეტანილია უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე, რომელიც შეიძლება იცნოთ ნომრის ანარსებობით.

❖ შეიძლება თუ არა ხე-ტყის დამზადება დაცული ტერიტორიების ფარგლებში?

ხე-ტყის დამზადება (ასევე საქონლის ძოვება) დაშვებულია მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის დაცული ტერიტორიის ფარგლებში, ისიც მხოლოდ სპეციალური ნებართვით. მაგალითად, ასეთებია: ალკვეთილი, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა. ნაკრძალში ან ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში ხის ჭრა აკრძალულია.

❖ რა არის ბიოლოგიური მრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნება)?

ბიოლოგიური მრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნება) – არის ლანდშაფტების, ეკოსისტემების, სახეობების ბუნებრივი მრავალფეროვნება, ასევე შიდასახეობრივი გენეტიკური მრავალფეროვნება გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მისთვის საფრთხის არიდება სამეურნეო საქმიანობის დროს, სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით. ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს მისი ბუნებრივი ელემენტების შემცირება (მაგ. მთიანი ეკოსისტემების ან მისი ცალკეული ელემენტების შემცირება და განადგურება), ან ბუნებრივ გარემოში უცხო სახეობების გავრცელება.

❖ რა არის დაცული ტერიტორია?

დაცული ტერიტორია არის სახმელეთო ტერიტორია, ან ზღვის აკვატორია, სადაც მართვა ხორციელდება კანონით დადგენილი

ნესით. მართვის მთავარი მიზანია დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებული ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული ფენომენების შენარჩუნება.

❖ რას ნიშნავს სატყეო მეურნეობის წარმოება?

სატყეო მეურნეობის წარმოება მოიცავს ტყეების შესწავლის, აღრიცხვის, აღწარმოების, დაცვის (უკანონო ჭრებისგან, ხანძრებისგან, მავნებელ-დაავადებებისგან), რეგულირებისა და გამოყენების ღონისძიებებათა ერთობლიობას.

❖ როგორ მოვიპოვოთ ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებიდან?

ყველა მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს საჯარო ინფორმაცია. ამისთვის, წერილობით უნდა მიმართოს შესაბამის საჯარო დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია შეუფერხებლად მიანოდოს ინფორმაცია. უწყებას ამისათვის მაქსიმუმ 10 დღე აქვს. თუ ინფორმაციის მოცულობა დიდია, ან მისი მოძიება მოითხოვს გარკვეულ დროს, უწყებამ 3 დღის ვადაში უნდა გაცნობოთ, რომ ვერ ეტევა 10-დღიან ვადაში და იქვე მიუთითოს, თუ როდის შეძლებს მის მოწოდებას. თუ საჯარო დაწესებულებამ დაარღვია ეს პირობები, თქვენ შეგიძლიათ იჩივლოთ ამავე დაწესებულების გენერალურ ინსპექციაში, ზემდგომ ადმინისტრაციულ/მაკონტროლებელ ორგანოში ან მიმართოთ სასამართლოს. ჩვენი რჩევაა, რომ საჯარო დაწესებულებაში ჩაბარებული განცხადების ასლი თქვენ დაიტოვოთ, ჩაინიშნოთ კანცელარიაში ჩაბარების თარიღი და ნომერი, რომლითაც თქვენი განცხადება გატარდა.

დამიხსოვრეთ, რიგით მოქალაქეს კერძო პირისათვის დოკუმენტაციის მოთხოვნისა და შემონახვის უფლება არ აქვს! ამისათვის არსებობენ სახელმწიფო სამსახურები, რომლებიც კანონით მინიჭებული უფლებით ახორციელებენ ასეთ ქმედებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადგილობრივი თვითმმართველობა, 2006, ფუნქციები და სტრუქტურა, ურბანული ინსტიტუტი.
2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, 2006, ურბანული ინსტიტუტი.
3. მაჭარაშვილი ი. ნ. გუჯარაიძე, 2006, ტყის უკანონო ჭრასთან ბრძოლისა და მონიტორინგის მეთოდები - სახელმძღვანელო საქართველოს მოქალაქეებისათვის, თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 40 გ.
4. საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში (2006 წელი), 2007, თბილისი, ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო", სარედაქციო კოლეგია: დავით ლოსაბერიძე (მთავარი რედაქტორი), დავით მელუა, დავით ნარმანია.
5. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და ხელისუფლების დონეებს შორის ადმინისტრაციული, ფინანსური, ქონებრივი და სამართლებრივი უფლება-მოსილებების გამიჯვნის კონცეპტუალური მოდელი, 2004 პროექტი: "საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავება".
6. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. 2005, თბილისი, NACRES, 89 გვ.
7. საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემა CODEX 2005. (2008 წლის 1 ივნისის მდგომარეობით).
8. Forest Insitutions in Transtion, Experiences and Lesorns from Eastern Europe, Profor and the World Bank, 2005.
9. Guidelines on Capacity Building in the Regions, Rainer Rohdewohld (GTZ-SfDM) and Dr. Manfred Poppe (Plandialog). Support for Decentralization Measures, GTZ- SfDM
10. Morell M., 2004.FAO Experience in Decentralization in the Forest Sector, FAO Forestry Department, Rome.
11. Neven, I. 2003, Decentralization, "National Forest Programmes in the European Context", Institute Alterra – Green World Research, Wageningen, The Netherlands,.
12. Ribot J.C. 2003, Democratic Decentralization of Natural Resources: Institutionalizing Popular Participation, World Resorces Institute.
13. Poverty and Forests Linkages A Synthesis of Six Case Studies The Program on Forests (PROFOR) At the World Bank, 2007



ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

საფოსტო მისამართი თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. №62

ტელეფონი: 22 38 74 / 22 16 04

ფაქსი: 22 38 74

ელ.ფოსტა: greenalt@wanex.net

ვებ-გვერდი: www.greenalt.org

